ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

20 იანვრიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
„მგლის ბილიკი“
ქართული დეტექტივი. ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად - 5 ლარი




ოთხშაბათი, 20 იანვარი, 2016 | №15 (6941) | ფასი: 50 თეთრი

# კალაძე, სუბარი და წულუკიანი პარლამენტში მიდიან



„აღმასრულებელი ხელისუფლებიდან საარჩევნო სიაში გადმონაცვლებაზე საუბარი არ არის. გამორიცხვა არასდროს არაფრის არ შეიძლება. არ გეგონოთ, რომ რამე ვიცი და არ ვამბობ. მუშაობს ის წულუკიანი, სად გადმოდის, რა უნდა აქ?"



გვ.2



## ვინ მიიღო გარანტიები პირველი მოქალაქისგან

## „ალასანიას გარდა, „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნებაზე ყველა თანახმაა“





გვ.4

„ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად ნაციონალები უკვე სტრიპტიზებს აწყობენ“



გვ.3

## ადვოკატი კორკოტაძე: „ქირიასა და კუჭავას მკვლელობა ერთი და იგივე ადამიანის ხელწერაა“

დავით პოპოვი: „ბიძინა კუჭავამ თავი მოიკლა“

## ჯონდი ბაღათურია: „ქართული ოცნება“ არჩევნებს ვერ მოიგებს“

ეს ხელისუფლება ქვეყანაში მდგომარეობის შემცვლელი არ არის. იმისათვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს, საჭიროა ასეთი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია.




გვ.3

ყველას აქვს უფლება, პოლიტიკაში მოვიდეს, მაგრამ პირდაპირ სცენიდან ისკუპო პოლიტიკაში – ეს სერიოზულად არ გამოიყურება



გვ.6

## ოთარ ანგურიძე: „პარლამენტმა შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურა ჩააგდოს“

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კალაძე, სუბარი და წულუკიანი პარლამენტში მიდიან

შორენა მარსაგიშვილი

**საარჩევნო სიების ფორმირებამ ქვეყანაში არსებული ვითარება რადიკალურად შეცვალა. ინდური სერიალების მოყვარულები აქამდე თუ თავიანთ საყვარელ პერსონაჟ ირას ბედს დასტიროდნენ, ახლა იმაზე უფრთხიალებთ გული, თუ ვის შეიყვანს ბიძინა ივანიშვილი საარჩევნო სიაში.**

გასული წლის დამლევს გვითხრეს, რომ სიასთან დაკავშირებით იანვრის შუა რიცხვებში იტყოდნენ სათქმელს. იანვრის შუა რიცხვებმაც ჩაიარა და ერი ისევ მკითხაობის რეჟიმშია.

ამ თემაზე სახელისუფლებო კულუარებშიც ბევრს საუბრობენ, მაგრამ რაიმე კონკრეტულს ვერც ისინი ამბობენ, რადგანაც ბოლომდე არავინ იცის, რა ხასიათზე იქნება ივანიშვილი, როცა საარჩევნო სია დაიწერება.

გავრცელებული ინფორმაციით, მომავალ სიაში, ძველი სახეების გარდა, ახლებსაც ვიხილავთ. მათთან ერთად „ქართული ოცნების" რიგებში შესაძლოა რამდენიმე მოქმედი მინისტრიც ვიხილოთ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სიაში მოხვედრის გარანტია მიიღეს და აღმასრულებელი ხელისუფლებიდან საპარლამენტო სიაში გადაინაცვლებენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, დევნილთა მინისტრი სოზარ სუბარი, შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე.

საპარლამენტო სიაში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ ენერგეტიკის მოქმედ მამა კახა კალაძესაც, რომელსაც ამ მომენტისთვის პარტიის გენერალური მდივნის პოსტი უკავია. როგორც ამბობენ, სიის ფორმირებაში თავადაც სურდა მონაწილეობის მიღება, მაგრამ ეს მისია მთავარმა



მეოცნებემ საკუთარ თავზე აიღო, თანაც მის მიერ შერჩეული კანდიდატურებიც დაუწუნებია. ამან ვიცეპრემიერი გაანაწყენა თურმე.

„ახალი თაობისთვის" ცნობილი გახდა, რომ გასული წლის მიწურულს ის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეს შეხვდა და არჩევნებზე ერთიანი ფრონტით გამოსვლა შესთავაზა.

სადაც ეს ინფორმაცია მედიისთვის გახდა ცნობილი, იქ ივანიშვილსაც მიურაკრაკებდა წყარო ამ ამბავს. ამ ეტაპზე მას კალაძის განაწყენება არ აწყობს და პარლამენტში შეყვანას დაჰპირდა.

საპარლამენტო არჩევნების მოგება მას საკუთარი ძალებითაც არ გაუჭირდება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მშობლიურ სამტრედიაში უპრობლემოდ მოიგებს მაჟორიტარულ არჩევნებს.

საარჩევნო სიაში მოხვედრას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რამდენიმე წევრსაც უწინასწარმეტყველებენ. ისინი, ალბათ, უფრო რესპუბლიკელების კვოტით გავლენ. რესპუბლიკელები, თავის მხრივ, გამსვლელ ადგილზე 15 ადგილს ითხოვენ.

## ვინ მიიღო გარანტიები პირველი მოქალაქისგან

რესპუბლიკელების საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, სამაგიეროდ, ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრებს მშვიდად შეუძლიათ ძილი.

გავრცელებული ინფორმაციით, მთავარი მეოცნებისგან გარანტიები გია ვოლსკიმ, დიმიტრი ხუნდაძემ, ზვიად კვაჭანტირაძემ, ირაკლი სესიაშვილმა, გია ჟორჟოლიანმა, თემურ ჭკუასელმა მიიღეს.

გარანტია ასევე მიიღო გივი ჭიჭინაძემ, რომელიც ამ დროისთვის იმერეთის გუბერნატორია.

მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად არ ადასტურებენ.

მათი მტკიცებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სია ჯერჯერობით შედგენილი არ არის.

— აღმასრულებელი ხელისუფლებიდან საარჩევნო სიაში გადმონაცვლებაზე საუბარი არ არის. გამორიცხვა არასდროს არაფრის არ შეიძლება. არ გეგონოთ, რომ რამე ვიცი და არ ვამბობ. მუშაობს ის წულუკიანი, სად გადმოდის, რა უნდა აქ?! — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ასეთი კატეგორიული არ არის პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე. მისი თქმით, გამორიცხული არ არის მინისტრთა კაბინეტის წევრთა ნაწილის საარჩევნო სიაში მოხვედრა.

დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, მათი პარლამენტში მოხვედრა ქვეყნისთვის კარგი იქნება.

— არ არის გამორიცხული, რომ დადგეს საკითხი, ისინი ისევ აქტიურ პოლიტიკაში დარჩნენ. ჩემი დამოკიდებულება იქნება ერთმნიშვნელოვნად დადებითი, იმიტომ რომ ყველა პიროვნება არის მაღალკვალიფიციური. მათი ჩართულობა პოლიტიკაში ქვეყნისათვის სასარგებლოა. ასე რომ, ვფიქრობ, არავის უნდა გაუკვირდეს, თუნდაც ისინი რომ აღმოჩნდნენ სიაში წარმოდგენილნი, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.



ცოტა ხნის წინ ერთი ამბები ატყდა სპორტსმენებთან დაკავშირებით. პარტიის აღმასრულებელ მდივან ირაკლი კობახიძის თქმით, ისინი მომავალ პარლამენტში ველარ მოხვდებიან.

როგორც ამბობენ, მათ 14 იანვრის ქეიფზე ივანიშვილისგან განმარტებები მოითხოვეს და გარანტიებიც მიიღეს.

როგორც „ახალი თაობისთვის" გახდა ცნობილი, ისინი სიაში ვერ მოხვდებიან, მაგრამ მაჟორიტარებად იქნებიან წარდგენილნი. დღევანდელ პარლამენტშიც ისინი მაჟორიტარული წესით არიან მოხვედრილი.

* * *

მართალია, რესპუბლიკელებს ივანიშვილის გულსა და ხელისუფლებაში გამორჩეული ადგილი უკავიათ,



მაგრამ მათთან დაკავშირებით მაინც დიდი უთანხმოებაა. მათი დიდი პოლიტიკური მადა არარესპუბლიკელ ქოცებს აღიზიანებთ.

ექსპერტთა ნაწილს ზურგის ტვინი უგრძნობს, რომ ისინი კოალიციას დატოვებენ. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ნუკრი ქანთარია ამის წინაპირობას ჯერ ვერ ხედავს.

— არავითარი სიმპტომი, რომ კოალიციას დატოვებენ, არ არის. ერთადერთი, რაც მათ ოფიციალურად გამოაცხადეს, არის ის, რომ უმჯობესია წინასწარ იცოდნენ, თუ რა ექნებათ მომავალ პარლამენტში და რა წილი ექნებათ კოალიციაში. მათ ექნებათ შეფასება, რა წონისანი არიან. მათ ასევე კარგად იციან, რომ თუ კოალიციიდან გავლენ, სერიოზული პრობლემები ექნებათ. მათ ასეთი წარმატება პოლიტიკაში არ ჰქონიათ, რომ ამდენი მინისტრი ჰყავდეთ, ამდენი პარლამენტის წევრი და ა.შ. როგორც ჭკვიანი ხალხი, ამას აფასებენ, — განაცხადა მედიასთან საუბარში ქანთარიამ.

ის კოალიციიდან წასვლას არც სხვა სუბიექტებს უწინასწარმეტყველებს. მისი კოლეგების ერთი ნაწილი კი ვარაუდობს, რომ მმართველ გუნდს ფორუმი დატოვებს და, რადგან პოლიტიკაში ყველაფერია მოსალოდნელი, წინ კიდევ ბევრი სიურპრიზი გველის.

## ქუთაისში ავარიის შედეგად პატრულის თანამშრომელი დაშავდა



ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად პატრულის თანამშრომელი დაშავდა. შემთხვევა გუშინ მოხდა. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, პატრულის ეკიპაჟისა და „ჟიგულის" შეჯახების შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა. შემთხვევა თაბუკაშვილის ქუჩაზე, წმიდა ნინოს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად პატრულის ეკიპაჟის ერთი წევრი დაშავდა. მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

## უსუფაშვილი ლატვიელ კოლეგას შეხვდა

ლატვიის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ, რომელსაც დავით უსუფაშვილი ხელმძღვანელობს, შეხვედრა ქვეყნის სეიმის (პარლამენტის) სპიკერ ინარა მურნიეცესთან გამართა.

ლატვიის რესპუბლიკის სეიმის სპიკერმა ქართულ დელეგაციას ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით დადებითი დასკვნის მიღება მიულოცა. მისი შეფასებით, ეს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. ინარა მურნიეცეს თქმით, ლატვია, როგორც მეგობარი ქვეყანა, ამ მიმართულებით საქართველოს მხარდაჭერას კვლავ აქტიურად გააგრძელებს.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, ლატვიის ევროსაბჭოს პრეზიდენტობის პერიოდი წარმატებული იყო საქართველოსთვის, რადგან ლატვიამ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წინ წაწევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ამ წვლილისთვის ინარა მურნიეცეს მადლობა გადაუხადა.



შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზეც და აღნიშნეს, რომ შესაძლებელია თანამშრომლობის გაღრმავება განათლების სფეროში, რადგან იზრდება სტუდენტების ინტერესი ქართული და ლატვიური განათლების სისტემის მიმართ.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების შესახებაც. დავით უსუფაშვილის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელი პოლიტიკური ძალებით დაკომპლექტდება შემდეგი მოწვევის პარლამენტი, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გააგრძელებს ლატვიის სეიმთან იმ მჭიდრო, მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც უკვე წლებია, გრძელდება. შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შესაძლებელია, ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს აპარატის თანამშრომლებმა აქტიურად ითანამშრომლონ გამოცდილების გაზიარების კუთხითაც.

თავის მხრივ, დავით უსუფაშვილმა გასული წლის 27-29 ოქტომბერს მეხიკოში გამართულ ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღწეულ წარმატებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტს შეუძლია, ღიაობისა და გამჭვირვალობის კუთხით გამოცდილება ლატვიის პარლამენტს გაუზიაროს. ინარა მურნიეცეს განცხადებით, ლატვიის სეიმის საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფში პარლამენტის წევრთა თითქმის ნახევარი შემადგენლობაა გაწევრიანებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ინტერესი არსებული ურთიერთობის შენარჩუნების, კიდევ უფრო გაღრმავებისა და განვითარებისთვის დიდია.

შეხვედრაზე ისაუბრეს რეგიონულ საკითხებსა და გლობალურ გამოწვევებზეც. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტსა და საქართველოს მოლოდინებს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საქართველო ზედმიწევნით ასრულებს იმ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც ნატოში გასაწევრიანებლადაა საჭირო. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ალიანსი შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ლატვიის სეიმის სპიკერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლატვია კვლავ გააგრძელებს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების მხარდაჭერას ყველა საერთაშორისო ფორმატში.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჯონდი ბაღათურია: „ქართული ოცნება“ არჩევნებს ვერ მოიგებს“

## ყველას აქვს უფლება, პოლიტიკაში მოვიდეს, მაგრამ პირდაპირ სცენიდან ისკუპო პოლიტიკაში – ეს სერიოზულად არ გამოიყურება




ეს ხელისუფლება ქვეყანაში მდგომარეობის შემცვლელი არ არის. იმისათვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს, საჭიროა ასეთი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია.

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებზე, წინასაარჩევნო პერიოდსა და ხელისუფლების შიგნით არსებულ ვითარებაზე, სიებთან დაკავშირებულ სკანდალზე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია საუბრობს.**

ოპოზიციონერი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ გუნდის უპირობო ლიდერია და ახალ სიასაც რომ ის დააკომპლექტებს, ეს არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს. ბაღათურია ამ პროცესში ისტერიკის საფუძველს ვერ ხედავს.

– ცუდი ის არის, რომ დღევანდელი გუნდის ერთმა დიდმა ნაწილმა აშკარად ვერ გაამართლა. ვერ ვხედავ, რომ რეალურად მიმდინარეობდეს საკადრო რეფორმაზე მსჯელობა ამ გუნდის შიგნით. ჩვენ ამაზე არ ვინერვიულებდით, ეს რომ ერთ-ერთი რიგითი პარტია იყოს. თუმცა ეს ხელისუფლებაა და ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლებამ ქვეყანა შეიყვანა ჩიხში. იმის გამო, რომ ჰყავს ბევრი არაკვალიფიციური და ბევრიც არაკეთილსინდისიერი კადრი. შესაბამისად, ეს ხდება ჩვენი, ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოების მსჯელობის საგანი.

***– გაკეთდა განცხადებები, რომ მომღერლები, მსახიობები და სპორტსმენები, ოცნების სიებში ნაკლებად მოხვდებიან. ეს სწორი სტრატეგიაა? ამის გარეშე პოპულარობის მოპოვება არ გაუჭირდება ამა თუ იმ პოლიტიკური ძალას?***

– საერთოდ, მე ვარ იმის მომხრე, რომ ყველამ თავის საქმე აკეთოს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე ხელოვანი თუ არის, მას პოლიტიკის კეთება ავუკრძალოთ. ზოგ ხელოვანს შესაძლოა პოლიტიკოსზე უკეთ გამოსდიოდეს პოლიტიკის კეთება. მაგალითად, ასეთი იყო რეიგანი, რომელიც მსახიობი გახლდათ, თუმცა წარმატებული იყო პოლიტიკაში. შესაძლოა ზოგს არ გამოუვიდეს. მე ასევე კარგად მესმის იმ განცდის, რომ პარლამენტში მართლაც ზედმეტი შტანგისტი და მომღერალი დაგროვდა. ამ მხრივ საქმე ორმაგად გაფუჭდა. ერთი მხრივ, სპორტმა კარგი შტანგისტი დაკარგა, საესტრადო სცენამ – კარგი მომღერალი, ხოლო პარლამენტმა შეიძინა კარგი ადამიანი, მაგრამ – არაკვალიფიციური პოლიტიკოსი.

***– ანუ იზიარებთ მოსაზრებას, რომ პური მეპურემ უნდა აცხოს?***

– პური მეპურემ უნდა აცხოს, მაგრამ ეს პოსტულატი არ ნიშნავს იმას, რომ რადგან კაცი ხელოვანია, ამიტომ მას ეკრძალება პოლიტიკაში ყოფნა. ჩვენთან ერთი ტენდენცია შეიმჩნევა...

***– რომელი?***

– როდესაც ადამიანები საკუთარ თავს ამოწურავენ სპორტში, სიმღერაში ან სადმე სხვაგან, ან სადმე ხელი მოეცარებათ, მერე აკეთებენ განცხადებებს, რომ მიდიან პოლიტიკაში. ეს პოლიტიკა კი, ბატონებო, არ არის ის ადგილი, სადაც ადამიანს კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება არ სჭირდება. რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება, პოლიტიკაში მოვიდეს, მაგრამ პირდაპირ სცენიდან ისკუპო პოლიტიკაში და არც მეტი, არც ნაკლები, ყველაზე მეტი პრეტენზია გქონდეს და იქით რეკომენდაციები აძლიო პოლიტიკოსებს, რომლებსაც რაღაცა გაუკეთებიათ პოლიტიკაში, ეს მაინცდამაინც სერიოზულად არ გამოიყურება.

***– საარჩევნო წელია და სიურპრიზებს უნდა ველოდეთ თუ მმართველ გუნდად ისევ ოცნება დარჩება და მის მთავარ ოპოზიციად – ნაციონალური მოძრაობა?***

– ეს აბსოლუტურად მიუღებელი კონფიგურაციაა და მე ვთვლი, რომ პრაქტიკულად გამორიცხულია, იქ კრება ისევ მხიარული დარჩეს და ნაცმოძრაობა იყოს მთავარ ოპოზიციაში.

***– მაშინ ვინ იქნება მთავარი ოპოზიცია?***

– მთავარი ოპოზიციის ადგილს, მაღალი ალბათობით, დავიკავებთ ჩვენ, მაგრამ ისიც მინდა ვთქვათ, რომ ეს პასტოგრამა მინიმუმადაც კი არ ღირს. ამიტომ დღეს ხალხს სჭირდება არა ოპოზიციის ცვლილება, არამედ ხელისუფლების ცვლილება. ხალხს უნდა, რომ შეიცვალოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში. ქვეყანაში ცხოვრება რომ შეიცვალოს, არ არის საკმარისი, რომ მთავარ ოპოზიციად ჩვენ ვიწოდებოდეთ.

***– რა არის ამისთვის საჭირო?***

– ამისთვის საჭიროა, რომ ხელისუფლება შეიცვალოს. ხელისუფლების შესაცვლელად კი საჭიროა, საზოგადოებას შევთავაზოთ არა მხოლოდ ჩვენი პარტიები ასარჩევად და ბარიერის გადასალახად, არამედ შევთავაზოთ ხელისუფლების ალტერნატივა. თუ ჩვენ ამას შევთავაზებთ, მაშინ ხალხი, რომელიც ხშირად რჩება სახლში, გამოვა, ყუთებთან მოვა და არჩევნებში ხმას მოგვცემს. თუ ჩვენ ალტერნატივას ვერ შევთავაზებთ, მაქსიმუმ, რაც შეიძლება გავაკეთოთ, ის არის, რომ გავიდეთ მეორე ადგილზე და ნაცმოძრაობას ჩამოვაშოროთ ეს თვითმარქვია სტატუსი.

***– ამბობენ, რომ არჩევნების მოსაგებად, ყველაფერთან ერთად, დიდი ფულია საჭირო. რას უპირისპირებთ იმავე ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც, ამბობენ, რომ დიდი ფული აქვს? საიდან მოიტანთ ამ ფულს?***

– მე ვიზიარებ ამ მოსაზრებას, ფულს მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, გარდა ფულისა, არის კიდევ უფრო მთავარი მდგენელი. ეს არის ჭკუა, ნამუსი და გამოცდილება, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ, იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებსაც ჭკუა და ნამუსი აქვთ, გამოიჩენენ წინდახედულობას, პასუხისმგებლობის განცდას, გააცნობიერებენ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და გაიაზრებენ, რომ საზოგადოებისთვის და ქვეყნის განვითარებისთვის მთავარი ის კი არ არის, ვინ იქნება პირველად წოდებული ან რამდენ პროცენტს ავიღებთ ჩვენ...

***– აბა, რა არის მთავარი?***

– მთავარი არის ის, რომ ჩვენ ქვეყანაში შევცვალოთ არსებული მდგომარეობა. ამისათვის საჭიროა ხელისუფლების შეცვლა. ეს ხელისუფლება მდგომარეობის შემცვლელი არ არის. იმისათვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს, საჭიროა ასეთი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია.

***– რამდენად მოხერხდება ამ ძალების კონსოლიდაცია?***

– უნდა მოხერხდეს. თუ ეს კონსოლიდაცია მოხერხდა, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საზოგადოებას ვთავაზობთ არა ნაციონალური მოძრაობის ალტერნატივას, რაც ასევე შესაძლოა საინტერესო იყოს საზოგადოებისთვის, არამედ ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლების ალტერნატივას, რაც ავტომატურად ნიშნავს ნაცმოძრაობის გასამართლებას და ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებას. ასეთ შემთხვევაში ხალხი მოვა არჩევნებზე და ხმასაც მოგვცემს. ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობის.

***– ამბობენ, რომ დიდი ძალისხმევა დასჭირდება „ოცნებას“ არჩევნების მოსაგებად, მოუწევთ გუნდის სერიოზულად გადახალისება. ასევე საუბრობენ იმაზეც, რომ ოცნების მთავარ სახედ რესპუბლიკელები დარჩებიან. ეს რამდენად მოუტანს მათ პოპულარობას?***

– მე უკვე ვხედავ, რომ „ოცნება“ არჩევნებს ვერ მოიგებს. უბრალოდ, შესაძლოა, ჩვენ, ოპოზიციამ, წავაგოთ ეს არჩევნები, წავაგოთ საკუთარ თავთან, ვიმეორებ, თუ არ მოხერხდება კონსოლიდაცია და სწორი მენეჯმენტი. „ოცნების“ მაქსიმალური რესურსი არის 25-30%, ადმინისტრაციული რესურსის ჩათვლით. ის ამაზე მეტ ხმას ვერ აიღებს. უბრალოდ, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლოა ჩვენ, ოპოზიციამაც ვერ მივიღოთ ამ 30%-ზე მეტი.

***– მაშინ რა იქნება?***

– მოხდება ის, რომ „ოცნება“ დარჩება გამარჯვებული, ისევ „ოცნება“ დააკომპლექტებს მთავრობას.

***– თუკი „ოცნებამ“ ვერ მიაღწია 50%-ს?***

– ის 50%-ს ვერ მიაღწევს, მაგრამ, თუკი ეს სისტემა შენარჩუნებული იქნა, ოცნება 30%-ის შემთხვევაშიც კი მაჟორიტარების ხარჯზე პარლამენტში მანდატებს აიღებს 60-70%-ს. აი, ასეთი საარჩევნო სისტემა გვაქვს ჩვენ და ამიტომ ვიბრძვით მის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ არის, რომ „ოცნება“ ამ სისტემას ებღაუჭება, რადგან იცის, სხვანაირად სამყოფ ხმებს ვერ მიიღებს.

***– ეს საარჩევნო სისტემა რომ არ შეიცვლება 2016 წლის არჩევნებისთვის, ესეც ხომ კარგად იცით?***

– გამორიცხული არაფერია, თუმცა მეც ვფიქრობ, რომ არ შეიცვლება. დღეს პოლიტიკოსებმა და საზოგადოებამ ერთმანეთი უნდა გავზარდოთ. საზოგადოებამ უფრო მაღალი სტანდარტები უნდა დაგვიწესოს ჩვენ, პოლიტიკოსებს, უნდა გაზარდოს მოთხოვნები ჩვენ მიმართ. როცა ხედავ, რომ არაფერი არ შეასრულა, რა დანაპირებიც გასცა, აღარ უნდა დაიწყო რაღაცების გამოგონება და უნდა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელისუფლება შეიცვალოს.

# ადვოკატი კორკოტაძე: „ქირიასა და კუჭავას მკვლელობა ერთი და იგივე ადამიანის ხელწერაა“

## დავით პოპოვი: „ბიძინა კუჭავამ თავი მოიკლა“



17 იანვარს ტელეკომპანია იბერიის ეთერში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობის დეტალებზე ისაუბრა.

– პრაქტიკულად უკვე დადგენილია, რომ ბიძინა კუჭავა არის პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელი, – განაცხადა მან.

მისი თქმით, არსებობს ძალიან სერიოზული გარემოებები და მტკიცებულებები, მოპოვებული გამოძიების მიერ.

– გამოძიებამ უკვე დაადგინა, რომ ვახტანგ ქირიას ბოლო კონტაქტი თავის ოჯახთან ჰქონდა 13 იანვარს.

მისი თქმით, ბიძინა კუჭავამ, სავარაუდოდ, გვამი ჩამოკიდა, სისხლისგან დაცალა და შეუდგა მის დანაწევრებას.

– ამ დროს მან ელექტროსაჭრელით დაიზიანა ფეხი და განუვითარდა ძლიერი სისხლდენა. სწორედ ამიტომ აქვს მას ფეხზე დაზიანება. ამ ყველაფერს კიდევ ადასტურებს ისიც, რომ ბინიდან გამქრალია გარდაცვლილი პროკურორის შარვალი და ფეხსაცმელები და არსებობს ვარაუდი, რომ მაღალი ალბათობით სწორედ ამ ფეხსაცმლითა და შარვლით დატოვა მკვლელმა ბინა, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მისი ინფორმაციით, როცა მანქანაში თვითმკვლელობა განახორციელა, ბიძინა კუჭავას ფეხი ჰქონდა შეხვეული სპეციალური სახვევითა და ცელოფნით და ასე ეცვა ფეხსაცმელი.

– კუჭავა დაუკავშირდა საზღვარგარეთ უკვე იდენტიფიცირებულ პირს, რომელსაც ქვეყნის დატოვების თხოვნით მიმართა. საზღვარგარეთიდან განხორციელდა ზარი ბატონ პოპოვთან და მის მეუღლესთან და მათ სთხოვეს, რომ დახმარებოდნენ კუჭავას ქვეყნის დატოვებაში. სწორედ ამ ორ ადამიანთან ერთად იმყოფებოდა მკვლელი კუჭავა იუსტიციის სახლთან, როცა განახორციელა გასროლა საკუთარი რეგისტრირებული იარაღით. ის აპირებდა ქვეყნის დატოვებას. ეს ყველაფერი დასტურდება პოპოვისა და მისი მეუღლის ჩვენებებით და საქმეში არის კიდევ დეტალები, რომლებსაც ვერ მოვყვები, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ და დასძინა, რომ ამ ყველაფრით დასტურდება, რომ ქირია მისი საქმიანობის გამო არ მოუკლავთ.

არჩილ თალაკვაძემ სხვა საქმეებზეც ისაუბრა.

– ქირიას მკვლელობის გამოძიებამ გააცოცხლა, ამოსწია კითხვის ნიშნები სხვა ოთხ საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც 2005-2009 წლებში მოხდა და რომლებიც დღემდე გაუხსნელია, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, ეს არის ბიძინა კუჭავას დის გაუჩინარება, რომელიც დღემდე გაუხსნელია; მისი გერის მკვლელობა; ცოლ-ქმარ ნინუების მკვლელობა, რომელზეც, მართალია, ერთი ადამიანი მიეცა პასუხისგებაში, მაგრამ გამოძიება მუშაობს დამატებით, ეს საქმეც იქნა შესწავლილი; ასევე, ეს არის მაღალდაძის მკვლელობა, რომელზეც ასევე არსებობს კითხვის ნიშნები.

– ამ საქმეებში არის გარკვეული დეტალები, რომელთაც, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს ამ ბოლო საქმესთან, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მან დასძინა, რომ გამოძიება ამ საქმეებს შორის შესაძლო კავშირის დადგენაზე მუშაობს.

* * *

– გამოვრიცხავთ თვითმკვლელობას, ეს არის განზრახ მკვლელობა, – განაცხადა ბიძინა კუჭავას ოჯახის ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ 18 იანვარს, დამოუკიდებელ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის მიერ ცხედრის გარეგანი დათვალიერების დასრულების შემდეგ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ალასანიას გარდა, „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნებაზე ყველა თანახმაა“

## „ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად ნაციონალები უკვე სტრიპტიზებს აწყობენ“



შორენა მარსაგიშვილი

**რა გეგმები ჩაეშალათ ნაციონალებს, რა უნდა დავუჯეროთ აშშ-ის ელჩს, რა ხდება საარჩევნო სიების გარშემო, რაზე ვერ ითანხმებენ ალასანიას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას ჩამოშორდნენ, ნაციონალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანონ. ამისთვის ისეთ თემებს არჩევენ, რომელიც ხალხს გააერთიანებს. მათი რამდენიმე მცდელობა კრახით დასრულდა, ახლა გადაწყვიტეს, მოსახლეობა ქუჩაში ლოზუნგით „არა გაზპრომს“ გამოიყვანონ. აქაც კოვზი ჩაუვარდათ ნაცარში და რამდენიმე ასეული ადამიანი გამოიყვანეს. ხალხის მოსაზიდად საჯარო სტრიპტიზიც კი მოაწყვეს. ამანაც არ გაჭრა და ახლა ალბათ რაიმე ახალს მოიგონებენ. ეროტიკული ფანტაზიები კი აქვთ, მაგრამ არაფერი აღარ გამოუვათ.

ხელისუფლების წინააღმდეგ ნაციონალები ხალხს ვერ გამოიყვანენ. მათ მიმართ იმდენად დიდია ზიზღი, რომ ხალხი არც იმ დეზინფორმაციას აქცევს ყურადღებას, რომელიც ნაციონალური არხებით ვრცელდება. ისინი საზოგადოებას სასოწარკვეთაში აგდებენ, ამის მიუხედავად, უკვე შეინიშნება აფხაზების და ოსების ჩვენსკენ შემობრუნება.

***– მათი ჩვენსკენ შემობრუნება რაში გამოიხატება?***

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა მასობრივად ღებულობს საქართველოს მოქალაქეობას. ამას აკეთებენ იმისთვის, რომ ცე ჰეპატიტზე იმკურნალონ. მისი მკურნალობა საქართველოში უფასოდ ხდება, სხვაგან კი ის 40-45 ათასი დოლარი ჯდება.

სოფელ რუხში შენდება სერიოზული საავადმყოფო, სადაც სამკურნალოდ აფხაზეთიდანაც გადმოვლენ. აფხაზები ისედაც გადმოდიან, მათ ჩვენ მიმართ ნდობა გაუჩნდათ. ჩვეულებრივი მოქალაქეების გარდა, ენგურს გამოღმა სამკურნალოდ სეპარატისტთა ლიდერებიც კი გადმოდიან.

***– კონკრეტულად რომელი ლიდერი გადმოდის აქ სამკურნალოდ. შეგიძლიათ მათი ვინაობის დასახელება?***

– ერთ-ერთი მათგანი გალის გამგებელი რუსლან ქიშმარია იყო, რომელიც, მგონი, უკვე დაბრუნდა აფხაზეთში. ეს პრობლემა ასე უცბად ვერ მოგვარდება, მაგრამ მთავარი – აფხაზებთან და ოსებთან დაახლოების პროცესი დაწყებულია. ბაზრობებიც თუ გაკეთდა, ეს კიდევ უფრო მეტ შედეგს მოიტანს.

რუსეთის მიერ თურქეთისთვის სანქციების დაწესებამ ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. აფხაზეთში თურქული პროდუქცია ველარ შევა და ისინი საქართველოსკენ წამოვლენ. ამაზე ხმას არავინ არ იღებს, სამაგიეროდ, ერთი ამბავია ატეხილი, ივანიშვილი აჭარიდან 2 ხის გადმორგვას როგორ ბედავსო. ესეც არ იკმარეს და ოპერის თეატრზეც აქვთ დიდი წივილ-კივილი, იმას კი არავინ აღნიშნავს, რამხელა საქმე გაკეთდა, იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, პირველ სპექტაკლზე დასწრება მოსაწვევებით რატომ არისო. ისეთი ტრაგედია დახატეს, თითქოს აქამდე არც ერთი წარმოდგენა არ გაუცდენიათ ოპერის თეატრში.

ასეთი იაფფასიანი შავი პიარით ველარაფერს გახდებიან, გაზპრომზე ლაპარაკს კი საქართველოში აშშ-ს ელჩის განცხადების შემდეგ საერთოდ შეწყვეტენ. ის კაცი გამოვიდა და თქვა, რომ ამერიკა მხარს უჭერს ამ მოლაპარაკებებს, რადგანაც საქართველოს გაზის მომარაგების კუთხით დეფიციტი აქვსო.

***– იან კელის განცხადებებს აქამდე უარყოფითად ხვდებოდით, ამბობდით, რატომ ერევა ჩვენს საშინაო საქმეებშიო, ეს არ არის ჩვენს საქმეებში ჩარევა?***

– ხანდახან იან კელიც იტყვის ხოლმე სიმართლეს. თან ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ საქართველომ ბევრი რამე უნდა გაითვალისწინოს. ახლა არც დასავლეთისკენ უნდა გადავიხაროთ და არც რუსეთისკენ. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ.

დღევანდელი ხელისუფლება ამას ახერხებს და ამის დასტურია ის ფაქტი, რომ საგარეო კურსის ცვლილებაზე მოტირლებმა პოზიციები შეიცვალეს. მეტიც, ისინი ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

***– მხედველობაში დავით ზალკალიანი გყავთ?***

– სწორედ ზალკალიანი მყავს მხედველობაში. 2 წლის წინ, სხვა თავისუფალ დემოკრატებთან ერთად, ერთი ამბავი რომ ატეხა, საგარეო კურსი შეიცვალაო, ახლა აღარ იცვლის კურსს საქართველო, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ რომ დაბრუნდა? რამდენადაც მე ვიცი, კოალიციაში დაბრუნება ძალიან უნდათ სხვა თავისუფალ დემოკრატებს.

***– რატომ მოუნდათ დაბრუნება, დარწმუნდნენ, რომ კურსი არ შეცვლილა?***

– კურსი შეცვლილი რომ არ იყო, ეს მაშინაც კარგად იცოდნენ. კოალიციაში დაბრუნების სურვილი მათ მოახლოებულმა არჩევნებმა გაუჩინა. მათ დაინახეს, რომ პარლამენტში სხვა გზებით მოხვედრის სხვა არანაირი პერსპექტივები არ აქვთ. ამიტომაც ცდილობენ, რომ საერთო ენა გამონახონ ხელისუფლებასთან. ამ საკითხზე რამდენჯერმე გაჟღერდა ინფორმაცია. როგორც ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება.

***– ამ საკითხზე კომენტირებისას ისინი ამბობენ, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.***

– პირდაპირ არავინ იტყვის, უკან დაბრუნებას ვაპირებთო. მე მაქვს საკმაოდ სარწმუნო ინფორმაცია, რომ ისინი კოალიციაში დაბრუნებას აპირებენ და ამაზე მხოლოდ ლიდერს, ირაკლი ალასანიას ვერ ითანხმებენ. ან ამ ალასანიას რომ არ უნდა დაბრუნება, მაინტერესებს, წინასაარჩევნოდ რა ლოზუნგით უნდა გამოვიდეს? ვერაფერს ველარ მოიფიქრებენ. რუსულ ორბიტას დავუბრუნდითო, ვერ იტყვიან.

***– ამბობთ, რომ ალასანიას ვერ ითანხმებენო და მის გარეშე კოალიციაში დაბრუნება უხერხული არ იქნება?***

– აბა, რა ქნან? ალასანიას ხომ არ ჩაყვებიან პოლიტიკურ სამარეში და რაღაცა გზების გამონახვას ცდილობენ. როგორც ამბობენ, კოალიციას სხვა სუბიექტებიც დაემატებიან და შესაძლოა, ახალი სახეებიც ვიხილოთ. ამ ახალ სახეებს, შესაძლოა, რაღაც კითხვები მოჰყვეს.

გვარების დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ ზოგიერთი ლიდერის განცხადებები ნაციონალების მოსაზრებებს ძალიან ემთხვევა. ითქვა, საპარლამენტო სიაში რომ მოხვდე, ინგლისური და კომპიუტერი აუცილებლად უნდა იცოდეო. რაღაცა პოზიციაზე შესაძლოა მართლაც აუცილებელია ინგლისურის ცოდნა, მაგრამ პარლამენტში ეს სავალდებულო ნორმა არ უნდა იყოს. თუნდაც იმიტომ, რომ აქ სამუშაო ენა არის ქართული.

ჩემი საქმე ნამდვილად არ არის, ვის და როგორ შეიყვანენ სიაში, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ „ქართული ოცნება“ არის ხალხის კუთვნილება და სიის დაკომპლექტების დროს ხალხის აზრიც უნდა იქნას გათვალისწინებული.

***– ხალხის კუთვნილება რატომ არის?***

– 2012 წელს მთელი საქართველო გაერთიანდა, ისინი რომ ხელისუფლებაში მოსულიყვნენ. ამაში მათ ხელი სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც შეუწყვეს. კიდევ ვამბობ, რომ ლიდერების გადასაწყვეტია, ვის შეიყვანენ სიაში, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს ამოსავალი წერტილი.

სასურველი იქნება, სიაში მოსახვედრ ადამიანებს 2012 წლამდე ჰქონდეთ ნაციონალების რეჟიმთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დაფიქსირებული. გამზადებულ მაგიდასთან დემოკრატიაზე საუბარი კარგია. სამუშაო გამოცდილებაც აუცილებელია, მაგრამ მარტო ჰარვარდის დამთავრება საკმარისი არაა. სამუშაო გამოცდილებაა აუცილებელი.

ებრაელებს აქვთ ასეთი წყევლა – ახალგაზრდებმა გმართონო და საინტერესოა, როდემდე უნდა ვიყოთ ასე, ხალხის შერჩევისას გაცილებით მეტი ყურადღებაა საჭირო. თუნდაც იმიტომ, რომ იგივე არ მოხდეს, რაც მარგველაშვილთან დაკავშირებით მოხდა.

***– რას გულისხმობთ, „ქართულ ოცნებას“ რომ დაუპირისპირდა?***

– დაჯდა თუ არა პრეზიდენტის სავარძელში, რაღაც სხვა პოზიციები დაიკავა. ახლაც არ ვიცით, საერთოდ რა პოზიცია უკავია ამ კაცს. იგივე შემიძლია ვთქვა რამდენიმე დეპუტატზეც. ზოგიერთს სურს, რომ ხელისუფლებაშიც იყოს და ოპოზიციაშიც. ეს ასე არ გამოვა. თუ გუნდის წევრი ხარ, გაიზიარე გუნდის მოსაზრება. თუ აზრთა სხვადასხვაობაა, ეს გუნდის შიგნით უნდა გაირჩეს.

2012 წელს ქვეყანაში სხვა სიტუაცია იყო და ხალხი დაეთანხმა ყველა იმ პერსონას, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ იყო. მაშინ ქვეყნის ყოფნაარყოფნის საკითხი წყდებოდა. ახლა ასე აღარ არის საქმე. „ქართულ ოცნებას“ ის რეიტინგი აღარ აქვს. ამაზე თავისი გავლება მედიამ იქონია, რომელიც არსებულ სურათს კიდევ უფრო ამძიმებს. ამ მოცემულობაში საზოგადოებისთვის მისაღები ხალხი უნდა შეიყვანონ სიაში. ის ხალხი არაფერს მოიტანს, რომლებიც პატრიარქს ლანძღავენ.

***– ვის გულისხმობთ?***

– გვარებს ვერ არ დავასახელებ, მაგრამ ვიტყვი, რომ ის ხალხი, ვინც ეკლესიას ლანძღავს, საარჩევნო სიაში არ უნდა იყოს. ადამიანებს მე პროდასავლურებად და პრორუსულებად არ ვყოფ და მიმაჩნია, რომ აქ პროქართული ძალები უნდა იყვნენ, რომლებსაც ყველასთან კარგი ურთიერთობა ექნებათ, მაგრამ ქართულ საქმეს გააკეთებენ.

ქართული საქმის გაკეთება კი ნებისმიერ დროს შეიძლება. ამის მაგალითი გახლავთ ჩემი მოგვარე ვასილ მჟავანაძე. ის საქართველოში ხრუშჩოვმა გამოაგზავნა. ყველას ეგონა, რომ ის რუსულ პოლიტიკას გაატარებდა, მაგრამ გაგანია საბჭოთა კავშირში მან ქართული საქმეები აკეთა, ყველა სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის მეტრო და ენგურჰესი მის დროს აშენდა.

ხალხს რომ ეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკოსები მოსწონს, ამაზე ირაკლი ღარიბაშვილის ამბავიც კარგად მეტყველებს. ხალხს ის პირველ რიგში იმიტომ უყვარდა, რომ ქართულ საქმეს აკეთებდა. მან დაამტკიცა, რომ რუსეთთან და დასავლეთთან ბალანსის დაცვა შეიძლება. მის დროს ვიზალიბერალიზაცია ისე მივიღეთ, რომ რუსეთთან ურთიერთობაც არ დაგვიძაბავს.

ყველაზე დიდი სიყვარული კი იმით დაიმსახურა, რომ ეკლესიას სცემდა დიდ პატივს. ღარიბაშვილმა პარტია რომ შექმნას და არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, შესაძლოა „ქართულ ოცნებასაც“ კი მოუგოს. იმედი მაქვს, რომ ის „ოცნებასთან“ დარჩება. კოალიციას დასაკარგი ხალხი არ ჰყავს.

# „იმედმა“ „მაესტროს“ სარეკლამო დრო იყიდა




ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტელეკომპანია „იმედმა“ ერთი წლით ტელეკომპანია „მაესტროს“ სარეკლამო დროის 100% იყიდა და ამ გარიგებაში 4 მილიონი დოლარი გადაიხადა. „მაესტროში“ ამ გარიგებას ადასტურებენ, თუმცა შეთანხმების დეტალებზე არ საუბრობენ.

აღსანიშნავია, რომ „მაესტროს“ სარეკლამო დროის შეძენა „რუსთავი 2“-საც სურდა, თუმცა, როგორც ჩანს, ტელეკომპანიების შორის გარიგება ვერ შედგა. სარეკლამო ბაზრის მოთამაშეები ამბობენ, რომ ამ გარიგებით სატელევიზიო სარეკლამო ბაზარზე ფაქტობრივად, ორი მსხვილი მოთამაშე ჩამოყალიბდა, რაც კონკურენციის ზრდას შეუწყობს ხელს. კონკურენციის ზრდა კი ბაზრის

გაჯანსაღებას ნიშნავს, რაც შედარებით მცირე მოთამაშეებს მეტი განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

გიორგი სულაკაური, სარეკლამო კომპანია TV International-ის დირექტორი:

– თუ გავიხსენებთ, რა ხდებოდა წინა მთავრობის პერიოდში, მაშინ ერთი გამყიდველის ხელში იყო თითქმის ყველა ტელევიზიის სარეკლამო დრო. ასეთ დროს ცოტა რთულია ბაზრის განვითარებაზე ლაპარაკი, რადგან ამ დროს ტელევიზიები გკარნახობენ უკვე თავის პირობებს. ახლა კი სატელევიზიო სარეკლამო ბაზარზე ორი მსხვილი მოთამაშე ჩამოყალიბდა – „რუსთავი 2“-ის, „მარაო“-სა და „კომედი არხი“-ს კომერციული წილი ბაზარზე დაახლოებით 45%-ია, ხოლო უკვე გაერთიანებული „მაესტროს“,TV 11-ის, „იმედისა“ და აქვე შეგვიძლია GDS-ic მოვიაზროთ, ამ კომპანიების წილი ბაზარზე დაახლოებით 42%-ია. რეალურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზარზე დაბალანსდა ვითარება და ამან ბაზრის განვითარებასაც უნდა შეუწყოს ხელი.

ქართულ კომერციულ არხებში თითქმის თანაბარი წილის მქონე ეს ორი მოთამაშე ბაზარზე უკვე კონკურენტულ გარემოს ქმნის. ახლა საინტერესოა, ვინ უფრო უკეთეს ფასს და მოქნილ პირობებს შესთავაზებს რეკლამის დამკვეთებს. თუმცა, სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი რომ გაიზარდოს, ამის წინაპირობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაა.

ინტერპრესნიუსი

# გიორგი კვირიკაშვილი: „პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა მითქმა-მოთქმის საგანი აღარ უნდა იყოს“




საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის დაპირისპირება უნდა დასრულდეს და პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში მითქმა-მოთქმის საგანი აღარ უნდა იყოს.

მისი თქმით, ინსტიტუციებმა უნდა იმოქმედონ ისე, როგორც მათ შეეფერება.

– მიუხედავად ოპონენტების განსხვავებული შეხედულებებისა, ვერავინ გაექცევა იმის აღიარებას, რომ საქართველოში სახეზე გვაქვს ძალიან პოზიტიური პროცესი ინსტიტუციონალური დემოკრატიული მშენებლობის. რაც შეეხება პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში, მე მგონია, რომ ეს საკითხები აღარ უნდა იყოს რაღაც მითქმა-მოთქმის და დღის მთავარი თემების საგანი. მე მგონია, რომ არსებობს ინსტიტუციები და ინსტიტუციებმა უნდა იმოქმედონ ისე, როგორც მათ შეეფერება. აქ პიროვნული ურთიერთობები უნდა გადავდოთ გვერდზე იმისათვის, რათა დავამშვიდოთ სიტუაცია, მაქსიმალურად დავწიოთ პოლიტიკური ტემპერატურა და კონცენტრირება მოვახდინოთ გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებზე, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გასულ წელს ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას არ დასწრებია, რაც პოლიტიკური კამათის საგანიც გახდა.

ნიუსპრესი

# გაძლიერდება თუ არა ისლამური სახელმწიფო კავკასიაში

მარიამ მჭედლიშვილი

**ოფიციალური მონაცემებით, ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოდან სირიაში ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს რიგებში საბრძოლველად წასვლის შემთხვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა, შესაძლოა, იქ მოხვდნენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა სახელმწიფოებში იმყოფებოდნენ.**

სირიაში საბრძოლველად ბევრი მიდის, თუმცა, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ კავკასიელები. მათზე ცრუ ინფორმაციებიც ვრცელდება. პანკისელი საველე მეთაურის, თარხან ბათირაშვილის, იგივე აბუ ომარ აშ შიშანის გარდაცვალებაზე შვიდჯერ გავრცელდა ინფორმაცია. ეს ცნობები არ დადასტურდა. ამ დღეებში სირიაში ბრძოლებს სხვა პანკისელები შეეწირნენ. „ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ 17 იანვარს სირიაში დაიღუპა ორი პანკისელი ახალგაზრდა.

პანკისის ხეობა ისევ რჩება მსოფლიოს ყურადღების ცენტრში და სახელდება საშიშ რეგიონად. ფრანგული ფიგაროს მტკიცებით, პანკისის ხეობა 10 000 –კაციანი მიკროთანამეგობრობაა, რომელიც ითვლება ისლამისტების კერად.

რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებამ რეგიონში სიტუაცია დაძაბა, თუმცა, ექსპერტები ამის გამო კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს გაძლიერებას არ პროგნოზირებენ. ოფიციალურად რუსეთიცა და თურქეთიც ებრძვიან ისლამურ სახელმწიფოს. არის შემთხვევები, როცა დაპირისპირებული სახელმწიფოები ერთმანეთს ტერორისტებთან კავშირსაც აბრალებენ.

12 იანვარს სტამბულში მომხდარი ტერაქტი, რომელსაც 11 კაცი ემსხვერპლა, 14 კი დაიჭრა, თავდაპირველად რუსეთიდან ჩასულ ჩრდილოკავკასიელებს დაბრალდა. ითქვა, რომ რუსეთი ისლამური სახელმწიფოს წევრებს თავის სასარგებლოდ იყენებს. საბოლოოდ გაირკვა, რომ სამი ჩრდილოკავკასიელი ჯერ კიდევ ტერაქტამდე დაუკავებიათ. მათგან ორი გაათავისუფლეს, ერთი კი – დაღესტნელი კამალუტდინ ბაბაევი, პატიმრობაში დარჩა. მის საწინააღმდეგოდ გამოძიებას სერიოზული სამხილები არ გააჩნია. გამოძიებას აქვს ფოტოსურათი, რომელზეც ბაბაევი თოფითაა გადაღებული. ადვოკატების მტკიცებით, ბაბაევი მონადირეა და ეს ფოტო დაღესტნის მთებში ნადირობისას გადაიღო. თურქეთში ის ბიზნესს ეწევა, მხარს უჭერს თურქეთის ოფიციალურ ხელისუფლებას და არანაირი კავშირი არა აქვს ისლამურ სახელმწიფოსთან. დაღესტნელი ბაბაევი მანამდე სამშობლოში აღრიცხვაზე იმყოფებოდა, როგორც ვაჰაბიზმის მიმდევარი, თუმცა, მისი ნათესავები მის ვაჰაბიტობასაც უარყოფენ.

დაღესტნიდან და ჩეჩნეთიდან სირიაში ბევრი ახალგაზრდაა წასული. ყაბარდო-ბალყარეთი ამ მხრივ ლიდერებს შორის არ არის, თუმცა, კონტრტერორისტული ოპერაციები ძირითადად იქ ტარდება. მაგალითად, 2015 წელს ყაბარდო-ბალყარეთში 8 სპეცოპერაცია განხორციელდა. ისინი ახლაც გრძელდება. ასეთი ოპერაციების დროს არცთუ იშვიათია ისლამისტი მებრძოლების და ხანდახან უდანაშაულო პირების განადგურება. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ყაბარდო-ბალყარეთი ადრე ნაკლებად მონაწილეობდა ჯიჰადში, მაგრამ ბოლო დროს იქ ტერორისტული ორგანიზაცია იმარატ კავკასია გააქტიურდა.

ითვლება, რომ თუ ჩეჩნეთსა და დაღესტანში ისლამისტების ბრძოლისას ძლიერია დამოუ-



კიდებლობის იდეები, ყაბარდო-ბალყარეთში მხოლოდ ისლამის ფაქტორი მოქმედებს.

მთლიანობაში, უკანასკნელ დროს, კავკასიაში ჯიჰადისტების აქტიურობის შენელება შეიმჩნევა. ამას მათი დიდი ნაწილის სირიაში გადინებას უკავშირებს.

არსებობს პროგნოზები, რომ სირიიდან გამოდევნილი ტერორისტები სხვა ადგილებში, მათ შორის, კავკასიაში გადაინაცვლებენ.

## სოფელ ქერედან ოკუპანტებმა 23 წლის ახალგაზრდა გაიტაცეს



ერთ-ერთი ვერსიით ლევან ლაფაჩი სოფლის ტერიტორიაზე შეშას აგროვებდა, ხოლო მეორე ვერსიით – ნადირობდა.

საოკუპაციო რეჟიმის ტყვეობაში 23 წლის მამაკაცი აღმოჩნდა. ლევან ლაფაჩი რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ქერედან გაიტაცეს. ამის შესახებ „ნიუპოსტს“ გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა მერეთის თემში შამილ თუხარელმა განუცხადა.

გამგებლის წარმომადგენლის თქმით, ამ წუთებში ცდილობს დააზუსტოს, რა ვითარებაში მოხდა ახალგაზრდა მამაკაცის დაკავება.

მისი განცხადებით, ერთ-ერთი ვერსიით ლევან ლაფაჩი სოფლის ტერიტორიაზე შეშას აგროვებდა, ხოლო მეორე ვერსიით – ნადირობდა. თუხარელი დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდას ე.წ. საზღვარი არ გადაუკვეთია. საუკუპაციო რეჟიმის მიერ საქართველოს მოქალაქეების უკანონოდ დაკავების საკითხს ქართული მხარე დღეს ერგნეთში ჩანიშნულ მორიგ შეხვედრაზე დააყენებს.

**ნიუპოსტი**

## ქუთაისში პატიმარმა ხელი დაიჭედა და შიმშილობა დაიწყო

ქუთაისის მეორე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარმა პროტესტის ნიშნად ხელი დაიჭედა და შიმშილობა დაიწყო.

როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში განმარტავენ, მომხდარი არ უკავშირდება მსჯავრდებულის უფლებების შელახვას ან საყოფაცხოვრებო პირობებს.

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო განმარტავს, რომ პროტესტის უკიდურესი ფორმა – შიმშილობა და თვითდაზიანება, რომელსაც მე-2 პენიტენციარული დაწესებულების მსჯავრდებულმა ო.ა-მ მიმართა, არამიზანშეწონილია.

მით უმეტეს, აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის მოთხოვნა არ უკავშირდება უფლებების შელახვას, ან საყოფაცხოვრებო პირობებს.

მსჯავრდებულ ო.ა-ს მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანას და დასაქმებას, განვმარტავთ, რომ როგორც მსჯავრდებულის დასაქმების, ასევე, თითოეული




მსჯავრდებულის ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადაყვანის საკითხს სწავლობენ პენიტენციარული დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები, რათა თავიდან იყოს აცილებული გადაყვანასთან დაკავშირებული შესაძლო ექსცესები, როგორც სხვა პატიმრებთან, ასევე, გადასაყვანი პირის უსაფრთხოებასთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ო.ა-ს თვითდაზიანებებისადმი მიდრეკილება და სხვა გარემოებები სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ხელს არ უწყობს მის დასაქმებას და ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანას.

მსჯავრდებული ო.ა ორჯერ არის ნასამართლევი ქურდობის ბრალდებით, პირველად 2011 წელს, რაზეც სასჯელის ვადა 2014 წელს დაუმთავრდა. გათავისუფლებიდან მოკლე პერიოდში კი ანალოგიური ბრალდებით თავისუფლების აღკვეთა მეორედ მიესაჯა.

* * *

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აცხადებს, რომ პროტესტის უკიდურესი ფორმა ვერცერთი მსჯავრდებულისთვის ვერ იქნება პრივილეგიების მოპოვების ან სარეჟიმო მოთხოვნების შესუსტების საფუძველი.

– მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით, რაშიც დასაქმება ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო მრავალ სიახლეს ნერგავს, მათ შორის პარლამენტში ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა დამტკიცების შემდეგ პენიტენციარულ დაწესებულებაში მცირე კაპიტალურ სამუშაოებზე მსჯავრდებულთა



დასაქმება, ასევე, მსჯავრდებულთა ნაკეთობების რეალიზაცია იქნება შესაძლებელი.

ყოველივე ეს მათ შესაძლებლობას მისცემს სასჯელის მოხდის პერიოდში შემოსავალი მიიღონ, დანაზოგი გააკეთონ და გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებას სრულფასოვან წევრებად დაუბრუნდნენ. დასაქმება მსჯავრდებულთა რისკების შეფასების შედეგად მოხდება. დასაქმდებიან პირები, რომლებიც არ არიან საშიში როგორც სხვა მსჯავრდებულთათვის, ასევე საკუთარი თავისთვის, – ნათქვამია განცხადებაში.

**ნიუპოსტი**

## პაპუაშვილი წულუკიანს უპირისპირდება



საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი იუსტიციის მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმად, თეა წულუკიანი საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირებას აპირებს.

პაპუაშვილის რეფორმის გატარების მომხრეა, თუმცა, მისი თქმით, რეფორმა სისტემის გაუმჯობესებას უნდა ისახავდეს მიზნად.

მისი განცხადებით, წულუკიანის ეს ინიციატივა საეჭვოდ დაემთხვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით.

– განცხადებები ბევრი გვინახავს, მაგრამ კონკრეტულად რას გულისხმობენ ეს ჯერ არ ვიცით. ვიღაცები უკმაყოფილონი არიან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. „რეფორმის რეფორმა“ იქნება ეს თუ რა იქნება, ჯერ არ ვიცით. ეს ყველაფერი საეჭვოდ დაემთხვა იმ პროცესებს, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კრიტიკა დაიწყო საკონსტიტუციო სასამართლოზე, განსაკუთრებით რუსთავი 2-ის და გიგი უგულავას საქმის შემდეგ. თუ რეფორმირების პროცესში იგულისხმება სისტემის გაუმჯობესებას, აღარ მოხდება მოსამართლეებზე ზეწოლა, თავდასხმები და ასე შემდეგ, ამ პროცესს მივესალმები, – აღნიშნა პაპუაშვილმა.

**ნიუპოსტი**

## ეკა ბესელიამ პატიმრების წერილების გამოქვეყნება დაიწყო

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ პატიმრების წერილების გამოქვეყნება დაიწყო.

პირველი წერილი უკვე განთავსდა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მის ოფიციალურ გვერდზე.

წერილში, რომლის ავტორი ბ. ანთიაა, პატიმარი შეწყალების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძეს აკრიტიკებს და ბესელიას მის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით მხარდაჭერას უცხადებს.

„ქალბატონო ეკა, ტელეეთერის საშუალებით რაღაც აბსურდულ ბრალს რომ გდებენ თქვენ და ქ-ნ მანანა კობახიძეს, თითქოსდა თქვენ ახდენდით ზეგავლენას ჩვენს წინაშე მყოფ შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძეზე.

კონკრეტული პატიმრების შეწყალების თაობაზე, საერთოდ არ მესმის ბატონი ზვიადის და მისი ნამუსის. ამით რის მიღწევას ცდილობს, ეს



ვაჟბატონი პროკურატურით“, – ნათქვამია წერილში, რომელიც ადამიანის უფლებათა კომიტეტის მტკიცებით, პატიმარმა ბ. ანთიამ ეკა ბესელიას გაუგზავნა.

გამოქვეყნებულ წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მას არ ესმის, რატომ ზის საპატიმროში. ანთია ამტკიცებს, რომ ქორიძემ ის ოთხჯერ დატოვა პატიმრობაში.

ანთია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს მიმართავს, მისი საქმე პირად კონტროლზე აიყვანოს და შეწყალების კომისიაში რეკომენდაცია გაუწიოს.

**ინტერპრესნიუსი**

## ბელიაშვილის ქუჩაზე ავარიის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა

თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ავარიის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა. დაშავებულები სხეულზე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მსუბუქი ავტომობილი გაჩერებულ სატვირთოს შეეჯახა.

გამოძიება მომხდარზე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტომობილის, ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრაქტორის ან სხვა მექანიკური ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

**ინტერპრესნიუსი**

## ზუგდიდში 30 წლამდე მამაკაცმა თავი მოიკლა




ზუგდიდში ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ახალგაზრდა მამაკაცმა თავი მოიკლა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი სამეგრელოდან იუწყება, 30 წლამდე მამაკაცს უთანხმოება მეუღლესთან მოუვიდა, რის შემდეგაც სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენა, ჭრილობების შედეგად კი გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

– პირველადი ინფორმაციით, ოჯახში კონფლიქტი მეუღლეებს შორის მოხდა, რა დროსაც მამაკაცმა მუცლის არეში თვითდაზიანებები მიიყენა და გარდაიცვალა.

დაზიანებების ხარისხზე დანიშნულია ექსპერტიზა. ამ დროისთვის პოლიცია საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს, – აცხადებენ შსს-ში.

აღსანიშნავია, რომ ოჯახი მომხდარში რძალს ადანაშაულებს და მის დაკავებას მოითხოვს. გამომძიებლებმა ახალგაზრდა ქალი უკვე დაკითხეს.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ოთარ ანგურიძე: „პარლამენტმა შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურა ჩააგდოს"





ნათია ხურცილავა

**ეროვნული ბანკის მოქმედ პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს უფლებამოსილების ვადა ორ კვირაში ეწურება. ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ქადაგიძის ანგარიში პარლამენტმა აუცილებლად უნდა მოისმინოს და შეფასებებიც გააკეთოს.**

**ოთარ ანგურიძე:**

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ამ წლის თებერვალში პოსტზე ყოფნის ვადა გასდის, ამიტომ აუცილებელია საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც ეს კანონმდებლობით არის გაწერილი, დაასახელოს საბჭოს წევრი და შემდეგ უკვე ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს. ეს პროცედურაა სწორედ კონსტიტუციით განსაზღვრული. თუმცა, პრეზიდენტის წარდგინებაც ერთგვარი კითხვის ნიშნების შემცველია.

***– რატომ?***

– ერთი წლის წინ, როდესაც პრეზიდენტმა წარადგინა ეროვნული ბანკის საბჭოს ახალი წევრი, მაშინ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი იყო. დასახელებული იყო რამდენიმე კანდიდატი. ცოტა გაუგებარი აღმოჩნდა, საბოლოოდ პრეზიდენტის მიერ არჩეულმა კანდიდატმა რითი აჯობა სხვა დასახელებულ კანდიდატებს. რითი იყო ის უპირატესი სხვა კანდიდატებთან შედარებით.

მაშინ, როდესაც საკმაოდ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური კანდიდატები დარჩნენ ამ საბჭოს მიღმა. როდესაც პრეზიდენტი საუბრობს, რომ ის საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად არჩევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატს, ამ შემთხვევაში უმთავრესია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი. ეს არის, მე ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი და არამხოლოდ საზოგადოებასთან საუბარი და კონსულტაციები.

***– თუმცა, საზოგადოების ჩართულობაც ხომ არის მნიშვნელოვანი?***

– ხომ შეიძლება პრეზიდენტი საზოგადოების ისეთ ნაწილს ესაუბროს, რომელიც საერთოდ არ არის კომპეტენტური ეროვნული ბანკის საკითხებში და, საერთოდ, არ ესმის, თუ რა ფუნქცია აკისრია ეროვნულ ბანკს ეკონომიკაში ზოგადად.

ეროვნულ ბანკს საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე დიდი ფუნქცია აკისრია. სწორედ ეს ფუნქცია და ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პირველ რიგში კანდიდატს გათავისებული. სწორედ ამ ფუნქციას უნდა იყოს მორგებული მისი კვალიფიკაციაც.

თუ პრეზიდენტის მიერ დასახელებული კანდიდატი არ იქნება იმ ფუნქციებისა და თვისებების მატარებელი, რაც უნდა ჰქონდეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, მაშინ ასეთი კანდიდატი პროფესიული საზოგადოების მიერ უნდობლობის საფუძველი გახდება და ამას მოჰყვება მკაცრი კრიტიკა.

***– პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებაა, შეარჩიოს კანდიდატი და შემდეგ დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინოს. მას ხომ აქვს უფლება, რომ ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვის წარადგენს?***

– კი ბატონო, ეს არის პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლება, რომ ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვის წარადგენს. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება ვთქვათ, რომ არც არის, რადგან მის მიერ წარდგენილ კანდიდატს პარლამენტი ამტკიცებს.

***– შეიძლება ჩაუგდოს კანდიდატი?***

– კი, როგორ არ შეიძლება, თავისუფლად შეიძლება მოვლენები ასე განვითარდეს.

***– ამ შემთხვევაში ვინ უნდა განახორციელოს უფლებამოსილება, რა სურათი შეიძლება მივიღოთ?***

– ეს ვერსიაც თავისუფლად არის მოსალოდნელი თუ, რასაკვირველია, კანდიდატი მიუღებელი იქნება პარლამენტისთვის. თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდა, მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი შეასრულებს მანამ, სანამ ახალი პრეზიდენტი არ შეირჩევა და არ დამტკიცდება პარლამენტის მიერ. ამიტომ ვამბობ, რომ პრეზიდენტის მიერ შერჩეული კანდიდატი მისი მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების უფლება, არგუმენტირებული უნდა იყოს.

***– რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის კანდიდატი?***

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა კრიტერიუმებს, მას უნდა ჰქონდეს რამდენიმე წლის მუშაობის გამოცდილება საბანკო სექტორში. მას უნდა ჰქონდეს ფინანსურ ინსტიტუტებში მუშაობის გამოცდილება. ეს იყო 2009 წლის კანონმდებლობით, ახლა სწორედ ეს კრიტერიუმებია ამოღებული, მაგრამ პარლამენტმა კვლავ ჩადო ეს კრიტერიუმები კანონში, თუმცა ის საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა.

მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკის შემადგენლობაში არის საბანკო ზედამხედველობის სამსახური. ეს, ის სამსახურია, რომელიც რამდენიმე თვის წინ გამოეყო ეროვნულ ბანკს. მოგვიანებით კი საკონსტიტუციო სასამართლომ დროებით შეაჩერა პარლამენტის გადაწყვეტილება.

***– ბატონო ოთარ, პოლიტიკური ნეიტრალიტეტიც ხომ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი?***

– დიახ, რასაკვირველია, ის უნდა იყოს პრინციპული ადამიანი და პოლიტიკურად ნეიტრალური. თუმცა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით მოქმედ პრეზიდენტზე, რომლის მიმართაც თუნდაც ამ მიმართულებით ძალიან ბევრი კითხვა არსებობს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.

***– კულუარულად დასახელებულ კანდიდატებზე რას გვეტყვით?***

– სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, ვის დაასახელებს პრეზიდენტი.

***– ლარის კურსის სტაბილურობაზე იქონიებს ეს ცვლილება გავლენას რაიმე სახით?***

– მხოლოდ ახალი სახე არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ლარის კურსი დასტაბილურდეს. აუცილებელია ახალი ხედვა და სტრატეგია, რომელიც აუცილებლად იქონიებს გავლენას ლართან დაკავშირებულ ყველა პროცესზე. მათ შორის აუცილებელია ახალი მიდგომები, ახალი მონეტარული პოლიტიკის შემუშავება. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის წარმოება, რომელსაც დღეს აწარმოებს ეროვნული ბანკი, მაგრამ არ აქვეყნებს, რადგან მის მიმართ ანგარიშის გამოქვეყნება უფრო მეტ კითხვის ნიშანს გააჩენს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ეროვნული ბანკის მჭიდრო კომუნიკაცია საზოგადოებასთან, რომ პანიკას არ ჰქონდეს ადგილი სავალუტო ბაზარზე. ბოლო ერთი წლის მანძილზე ამის ბევრი მაგალითი ვნახეთ.

***– პარლამენტმა უნდა მოისმინოს თუ არა ქადაგიძის ანგარიში, ამაზე დიდი დავაა პარლამენტში თუ ამას მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს?***

– არავითარ შემთხვევაში არ აქვს სიმბოლური დატვირთვა, აუცილებლად უნდა მოისმინოს. განსაკუთრებით ბოლო ერთი წლის მოქმედებებს გარკვეული შეფასება უნდა მისცეს პარლამენტმა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამ შეცდომებზე ყურადღების გამახვილება და გზების დასახვა, სარკე იქნება მომავალი პრეზიდენტისთვის და თუნდაც ამიტომ აქვს მნიშვნელობა, რომ პარლამენტმა მოისმინოს და შეფასებები მისცეს ქადაგიძის ანგარიშს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ეროვნული ბანკის მოქმედი პრეზიდენტი აუცილებლად უნდა წარდგეს ანგარიშით პარლამენტის წინაშე.

## მართვის მოწმობის ჩამორთმევის სანქცია რიგ დარღვევებზე ფულადი ჯარიმებით იცვლება



საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის დადგენილი მართვის მოწმობის ჩამორთმევის სანქცია, რიგ შემთხვევებში, ფულადი ჯარიმებით იცვლება.

ამას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დაგეგმილი ის ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც მთავრობამ პარლამენტს განსახილველად საგზაო მოძრაობის მიმართულებით, სხვადასხვა კანონპროექტებთან ერთად წარუდგინა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, მძღოლებისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევის ნაცვლად, ფულადი ჯარიმების დაკისრების ინიციატივა, ქულათა სისტემის დანერგვით არის განპირობებული.

კერძოდ, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით" დამუქებული სატრანსპორტო საშუალების მართვის გამო, მძღოლები მესამე და ყოველ შემდგომ ჯერზე მართვის უფლების 6-თვით შეჩერებით ჯარიმდებიან, რაც 300-ლარიანი ფულადი ჯარიმით იცვლება.

მოქმედი კოდექსით, მართვის უფლების 6-თვით შეჩერებას იწვევს ერთი წლის განმავლობაში ისეთი დარღვევა, როგორიც არის სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის, ხმოვანი სიგნალის ან სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება, ასევე ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება. პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, განმეორებით ჩადენილი ეს ქმედება მძღოლის 300-ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

იმ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზეც ჩართულია სპეციალური სიგნალი ან რომელიც ესკორტს ახორციელებს, ან რომელსაც მიაცილებენ, სადღეისოდ მართვის უფლების ერთი წლით შეჩერებას ითვალისწინებს, რაც პროექტით, 100-ლარიანი ჯარიმით იცვლება.

ზემოაღნიშნული სამართალდარღვევები კი, რომელსაც სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა – გამოიწვევს მძღოლის 700 ლარით დაჯარიმებას, მისთვის მართვის უფლების 1-წლით შეჩერების ნაცვლად.

გარდა ამისა, სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობის საგზაო მოძრაობის წესების დაცვას უზრუნველყოფს, მართვის უფლების 1 წლით შეჩერების ნაცვლად, 300 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს.

მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით გადაჭარბება, რასაც შედეგად სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა, სადღეისოდ მართვის უფლების 1-წლით შეჩერებას იწვევს.

აღნიშნული სანქცია პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, 500-ლარიანი ჯარიმით იცვლება.

მართვის უფლების 1-წლით შეჩერება, ასევე 500-ლარიანი ჯარიმით იცვლება ისეთი ადმინისტრაციული დარღვევის ჩადენისათვის, როგორიცაა, სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა, ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულადაა დაკავებული გზის სავალი ნაწილი.

პარლამენტი ავტომობილებთან და საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის განხილვის დაწყებისთვის ემზადება. ამ თემაზე პირველი საკომიტეტო სხდომა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა დანიშნა, რომელიც 21 იანვარს გაიმართება.

„საგზაო მოძრაობის შესახებ" კანონსა და რამდენიმე სხვა კანონში დაგეგმილი ცვლილება მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვას და მართვის მოწმობებზე ქულათა სისტემის დაწესებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, საკანონმდებლო პაკეტით 3-დან 6-წლამდე ავტომობილები შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში ექცევა, ხოლო მნიშვნელოვნად იზრდება აქციზის გადასახადი 9 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის. შეღავათიან რეჟიმში გადადის მოპედებისა და მოტოციკლების აქციზით დაბეგვრაც.

**ინტერპრესნიუსი**

## ემზარ ჯგერენაია: „გიორგი ქადაგიძეს არამარტო პარლამენტმა, პრეზიდენტმაც უნდა მოუსმინოს"



ეროვნული ბანკის მიმავალ პრეზიდენტს პარლამენტმა აუცილებლად უნდა მოუსმინოს, – ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ექსპერტმა ეკონომიკურ საკითხებში, ემზარ ჯგერენაიამ განაცხადა. მისი თქმით, გიორგი ქადაგიძის მოსმენა მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, რა პრობლემები დგას ეროვნული ბანკის წინაშე.

**ემზარ ჯგერენაია:**

– ჩვენ უნდა მოვუსმინოთ მიმავალ პრეზიდენტს და კიდევ ერთხელ დავინახოთ, თუ რა პრობლემები დგას ეროვნული ბანკის წინაშე.

სხვათა შორის, მას არა მარტო პარლამენტმა, არამედ პრეზიდენტმაც უნდა მოუსმინოს იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა იყოს და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი, რა პრობლემები არსებობს და რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა.

**ინტერპრესნიუსი**

## უამინდობის გამო საქართველოს სამივე ნავსადგური დახურულია



უამინდობის გამო საქართველოს სამივე – ბათუმის, ფოთის და ყულევის ნავსადგურები დახურულია. ამის შესახებ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ნანუკა აროშიძემ განაცხადა.

– საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო 24 საათიან რეჟიმში აკონტროლებს ზღვაზე გემების უსაფრთხო მიმოსვლას. ამინდის გაუარესების შემთხვევაში ნავსადგურები იკეტება, ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმი და განგაშის საფუძველი არ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ ქარის სიჩქარე კლებულობს, პატარა გემებს ნავსადგურში შესვლის საშუალება ეძლევა. ამ დროისთვის კი საქართველოს სამივე ნავსადგური დაკეტილია, – აღნიშნა ნანუკა აროშიძემ. აჭარის სანაპირო ზოლზე დღეს 5 ბალამდე შტორმია მოსალოდნელი. ამ დროისთვის ზღვის სანაპიროზე ტალღების სიმძლავრე 3 ბალს აღწევს.

**ინტერპრესნიუსი**

# ადვოკატი კორკოტაძე: „ქირიასა და კუჭავას მკვლელობა ერთი და იგივე ადამიანის ხელწერაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ნათია კირკიტაძის თქმით, ოჯახისთვის უცნობია იმ ორი პიროვნების ვინაობა, რომლებიც გარდაცვალების დროს ბიძინა კუჭავასთან ერთად იმყოფებოდნენ. დაკითხვის დასრულების შემდეგ კი ერთ-ერთმა მათგანმა სახეზე ქუდი ჩამოიფარა, რათა არავის ეცნო.

— ოჯახის ვერსია და ჩვენი ვერსია არის ის, რომ გამოვრიცხავთ თვითმკვლელობას. ეს არის განზრახ მკვლელობა. ქალბატონმა მაია ნიკოლეიშვილმა ჩაატარა ცხედრის დათვალიერება. მიუხედავად იმისა, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ ჩაატარა სასამართლო ექსპერტიზა, გაჩენილია ძალიან ბევრი კითხვა. არის რაღაც კვალიც. საეჭვო ზარები არ ყოფილა, საღამოს, 16-ში, ბატონი ბიძინა მიდიოდა შეხვედრაზე, როგორც მისმა მეუღლემ გადმოგვცა და ორი საათის შემდეგ უკვე მას ტელეფონი გათიშული ჰქონდა.

ის ორი პირი დაიკითხა. მანდილოსანმა, როდესაც გამოვიდა პროკურატურიდან, კაპიუშონი ჩამოიხურა, რომ სახე არავის დაენახა. თვითონ ოჯახი ამბობს, რომ ამ ქალს არავინ იცნობს და არც კონტაქტზე არ გამოსულა არავინ ოჯახთან, — განაცხადა ნათია კორკოტაძემ.

მან შეაფასა მინისტრის მოადგილის მიერ გაკეთებული განცხადებები.

— მინისტრის მოადგილე მსგავს განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს, — განაცხადა ადვოკატმა.

მან თქვა, რომ ბიძინა კუჭავას ჰყავს 12 წლის შვილი და მისთვის ძნელია იმის მოსმენა, რომ მამამისმა გვამი სისხლისგან დაცალა და დანაწევრებას შეუდგა.

— თალაკვაძემ ისაუბრა გოჩა მაღალდაძის მკვლელობაზე, რომელიც 2007 წელს მოხდა. თუკი კვალი კუჭავაზე მიდის, მაშინ მაღალდაძის მკვლელობის ბრალდებით მსჯავრდებულები ამდენი წელი უკანონო პატიმრები არიან?! — იკითხა კორკოტაძემ და აღნიშნა, რომ მსგავსი განცხადებები გამოძიების პერიოდში არ უნდა კეთდებოდეს.

მისი თქმით, ბიძინა კუჭავას აფრიკის ვიზა ჰქონდა და თვის ბოლოს აპირებდა გამგზავრებას ბიზნესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არაერთი საეჭვო გარემოება არსებობს, რომლითაც დასტურდება, რომ ბიძინა კუჭავას თავი არ მოუკლავს და იგი განზრახ მოკლეს.

ადვოკატის თქმით, ბიძინა კუჭავასთან სახლიდან გასვლამდე განხორციელდა იმავე ხელწერის ზარი, როგორც 13 იანვარს პროკურორ ვახტანგ ქირიასთან. კერძოდ, 13 იანვარს ვახტანგ ქირია სატელეფონო ზარის შემდეგ გავიდა სახლიდან, ისევე, როგორც 16 იანვარს ბიძინა კუჭავა.

ადვოკატის თქმით, 16 იანვარს კუჭავას სახლიდან გასვლა უკავშირდებოდა მის მიერ დაგეგმილ შეხვედრას ბიზნესის შესახებ.

— ბიძინა კუჭავას თავი არ მოუკლავს და იგი მოკლეს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ ქირიასა და კუჭავას მკვლელობა ერთისა და იმავე ადამიანის ხელწერაა. ქირიაც გამოიყვანეს სახლიდან, მას მანამდე ტელეფონით ესაუბრნენ და ანალოგიური სიტუაცია იყო კუჭავასთან დაკავშირებითაც. კუჭავაც გავიდა, თუმცა, ვინ გაიყვანა, არ ვიცით, — ამბობს ადვოკატი.

ნათია კორკოტაძის განცხადებით, კუჭავას დაკრძალვის შემდეგ ოჯახი აპირებს მიმართოს პროკურატურას და სახელის რეაბილიტაცია მოითხოვოს. ადვოკატმა განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, არჩილ თალაკვაძესაც უჩივლონ სატელევიზიო განცხადებებთან დაკავშირებით.

მისი შეფასებით, მინისტრის მოადგილემ უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია. პროკურატურისგან ოჯახი ასევე მოითხოვს თვითმკვლელობის მუხლის მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირებას.

ამასთან, ჟურნალისტების შეკითხვის საპასუხოდ ადვოკატმა აღნიშნა, რომ ბიძინა კუჭავას ოჯახი არ იცნობს პოპოვებს, რომლებიც, გამოძიების ინფორმაციით, კუჭავასთან ერთად იმყოფებოდნენ ავტომობილში.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ პოპოვები გლდანში ან მუხიანში ცხოვრობენ. სხვა რაიმე ინფორმაცია მათ შესახებ არ გააჩნიათ.

ნათია კორკოტაძის განცხადებით, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მუშაობაში ჩაერთვება დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი, რომელმაც 18 იანვარს გარდაცვლილის ცხედარი დაათვალიერა. რაც შეეხება დაზიანებებს, ნათია კორკოტაძემ აღნიშნა, რომ ბიძინა კუჭავას ცხედარს ფეხის თითის არეში აღენიშნება დაზიანება, თუმცა ეს არ არის მოჭრილი და მიკერებული.

მან სხვა დაზიანებებზეც ისაუბრა, თუმცა ჯერჯერობით დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

❖ ❖ ❖

ბიძინა კუჭავას აფრიკაში გასამგზავრებელ ვიზასთან დაკავშირებით მის ნათესავს, საქართველოს ხმის დირექტორ მამუკა კუჭავას ინფორმაცია არ გააჩნია.









ამის შესახებ მამუკა კუჭავამ ჟურნალისტებს ბიძინა კუჭავას სახლთან განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მხოლოდ ის იცის, რომ აფრიკაში გარკვეულ ბიზნესს გეგმავდა ბიძინა კუჭავა, თუმცა რა ბიზნესზეა საუბარი, გარდაცვლილის ნათესავისთვის უცნობია.

მამუკა კუჭავას თქმით, ბიძინა კუჭავას ჰქონდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

იგი გამოეხმაურა ინფორმაციას ბიძინა კუჭავას დის დაკარგვასთან დაკავშირებით.

როგორც მამუკა კუჭავამ აღნიშნა, ბიძინა კუჭავა დას პოლიციასთან ერთად ეძებდა.

რაც შეეხება ვალებს, მამუკა კუჭავას ინფორმაციით, გარდაცვლილს მოკლული პროკურორის ვახტანგ ქირიას ვალი არ ჰქონია და მას მხოლოდ „რესპუბლიკა ბანკთან“ ჰქონდა ვალდებულებები.

❖ ❖ ❖

ბიძინა კუჭავას მეუღლე ვახტანგ ქირიას ოჯახს უსამძიმრებს და გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

მარინა ნიკოლოზაშვილმა გუშინ, 19 იანვარს, ჟურნალისტებთან საუბრისას ამის შესახებ განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ვახტანგ (პაატა) ქირიასა და ბიძინა კუჭავას ოჯახებს შორის, რომლებიც მეგობრობდნენ, შუღლი არ უნდა გაღვივდეს.

— დიდ სამძიმარს ვუცხადებ ამ ტკბილ ხალხს, იქიდან გამომდინარე, რომ კარგი და ტკბილი ადამიანი იყო პაატა ქირია. ვუსამძიმრებ ოჯახს, ეს არის საერთო ტრაგედია. გთხოვთ, გავერთიანდეთ ჩვენი მიცვალებულების გასაპატიოსნებლად. ჩვენ უნდა გავზარდოთ შვილები, აქ არის შუღლი ჩადებული და ჩვენ შორის, როგორც ნათესავებს შორის, ეს არ უნდა არსებობდეს.

ჩვენ უკვე ჩავატარეთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მოვუწოდებთ პაატა ქირიას ოჯახს, იქნებ თავადაც დაინტერესდნენ დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვით ამ საქმეში, რათა გავაპატიოსნოთ ჩვენი მიცვალებულები.

პაატა ქირიასა და ბიძინა კუჭავას — ორივეს კარგად იცნობდნენ ზუგდიდში. პაატა ქირია იყო პატიოსანი ადამიანი, პროფესიონალი პროკურორი და არ არსებობდა, იგი აუცილებლად გაიცნობდა ბიძინა კუჭავას ხასიათს და თუკი ის მანიაკალური პიროვნება იყო, მასთან საქმეს არ დაიჭერდა, — განაცხადა მარინა ნიკოლოზაშვილმა.

იგი გამოეხმაურა არჩილ თალაკვაძის სატელევიზიო განცხადებას და აღნიშნა, რომ სამინისტრო ჩირქს სცხებს ბიძინა კუჭავასა და მის ოჯახს.

ბიძინა კუჭავას მეუღლე ადასტურებს, რომ მისი ქმარი მიმდინარე თვეში, ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე, აფრიკაში გამგზავრებას გეგმავდა. ბიძინა კუჭავა აფრიკაში უნდა შეხვედროდა მთავრობის წარმომადგენლებს, რომლებთანაც ჰქონდა მოლაპარაკებები.

— სულ ამისთვის ემზადებოდა. სულ ამ საქმიანობაში იყო. ამ თვეში უნდა წასულიყო. ახლა გავიგე, რომ სამ დღეში უნდა წასულიყო. მისი კომპანიონი უკვე ნამყოფი იყო აფრიკაში, — განაცხადა მარინა ნიკოლოზაშვილმა.

ის გამოეხმაურა გამოძიების ინფორმაციას, რომ ბიძინა კუჭავა თვითმკვლელობის მომენტში ორ პირთან, პოპოვებთან ერთად იმყოფებოდა ავტომანქანაში.

მარინა ნიკოლოზაშვილი აცხადებს, რომ ამ პირების შესახებ არაფერი იცის.

გარდაცვლილის მეუღლე ამბობს, რომ სიმართლეს არ შეესაბამება არჩილ თალაკვაძის ინფორმაცია, რომ ბიძინა კუჭავამ პროკურორი პაატა ქირია ძველით ახალი წლის ღამეს მოკლა და ხმაურს დაამთხვია.

— ჩემი მეუღლე ჩემთან ერთად იყო სახლში. ერთად შევხვდით ძველით ახალ წელს. ზუსტად იმ დროს შემოვიდა, როდესაც იწყებოდა ახალი წელი, — განაცხადა მარინა ნიკოლოზაშვილმა.

მისი თქმით, ბიძინა კუჭავას სხეულზე აღმოჩენილი დაზიანება სახლიდან გასვლის შემდეგ აქვს მიყენებული.

— იგი 16 იანვარს სახლიდან გავიდა გამოპრანჭული, მიდიოდა საქმიან შეხვედრაზე. ეცვა მოტკეცილი შუზები, რომელთაც ნატკენ ფეხზე ვერ ჩაიცვამდა. მე გავაცილე ის. არაჩვეულებრივ ხასიათზე იყო. ვინ დაურეკა და სად მიდიოდა, არ ვიცი.

მას შემდეგ კიდევ ერთხელ ველაპარაკე ტელეფონზე, გარდაცვალებამდე საათ-ნახევრით ადრე. თუ სადმე გაჟღერდა ბატონი ბიძინა კუჭავას სახელი, ცდილობენ, რომ საზოგადოებას მოახვიონ რამდენიმე მკვლელობა, რომლის სახელიც მას დაუკავშირეს, ამაზე ხომ უკვე ვიღაცები იხდიან სასჯელს, — განაცხადა მარინა ნიკოლოზაშვილმა.

მისი თქმით, კუჭავას ჰქონდა მინისტრებისა და დეპუტატების ნომრები.

— მას ჰქონდა ასეთ ადამიანებთან კონტაქტი. მოითხოვეთ მისი ბლოკნოტი, ყველას ნომერი აქვს, — განაცხადა მარინა ნიკოლოზაშვილმა.

მისი თქმით, ბიძინა კუჭავას პროკურორ პაატა ქირიას ვალი არ ჰქონდა.

მარინა ნიკოლოზაშვილი კიდევ ერთ საეჭვო გარემოებაზე საუბრობს. მისი თქმით, იარაღი, რომლითაც, შსს-ს ინფორმაციით, კუჭავამ თავი მოიკლა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სახლში აღარ იყო.

ნიკოლოზაშვილის თქმით, გარკვეული პერიოდის წინ კუჭავამ იარაღი გაყიდა.

❖ ❖ ❖

პროკურატურა გამოთქვამს მზადყოფნას, ბიძინა კუჭავას საქმეზე მიმდინარე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პროცესში ოფიციალურად ჩართოს და მონაწილეობა მიაღებინოს ბიძინა კუჭავას ოჯახის მიერ მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს.

ამის შესახებ მთავარი საგამოძიებო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

— აღნიშნული მათ შესაძლებლობას მისცემს, გამოძიების დასრულებამდე უშუალოდ გაერკვნენ საქმის ვითარებაში და დარწმუნდნენ მიმდინარე გამოძიების ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში, — აცხადებენ პროკურატურაში.

პროკურატურის განცხადების თანახმად, პროკურატურა აპირებს აქტიურ თანამშრომლობას როგორც ბიძინა კუჭავას ოჯახთან და ადვოკატთან, ასევე ვახტანგ ქირიას ოჯახთან, რათა დეტალურად იყვნენ ინფორმირებულნი გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

❖ ❖ ❖

მეზობლები ადასტურებენ, რომ თეთრი ფერის მერსედესის ჯიპი პოპოვებს ეკუთვნის.

ინტერპრესნიუსი ბიძინა კუჭავას თვითმკვლელობის საქმეზე მთავარი მოწმეების, ცოლ-ქმარ პოპოვების სახლთან იმყოფებოდა, რომელიც გლდანის მე-7 მიკრორაიონში მდებარეობს.

თავად პოპოვები, რომლებიც, გამოძიების ინფორმაციით, ბიძინა კუჭავას თვითმკვლელობის მოწმეები არიან, კონტაქტზე არ გამოდიან. უცნობია, იმყოფებიან თუ არა ისინი სახლში, თუმცა ეზოს კარი ღიაა. თეთრი ფერის მერსედესის ჯიპი კი, რომელიც გამოძიებაში ნივთმტკიცებაა, ადგილზე არ არის და იგი, სავარაუდოდ, ნივთმტკიცებად არის ამოღებული.

ინტერპრესნიუსი ესაუბრა პოპოვების მეზობლებს.

ერთ-ერთი მეზობლის ინფორმაციით, დავით პოპოვს მეუღლე და ორი შვილი ჰყავს, რომელთან ერთადაც აღნიშნულ სახლში ცხოვრობს. საქმიანობის შესახებ მეზობლებს ინფორმაცია არ გააჩნიათ, თუმცა, მათი თქმით, დავით პოპოვი რუსეთში ხშირად დადის, მისი მეუღლე კი, ერთ-ერთი მეზობლის ინფორმაციით, ადრე სკოლაში მუშაობდა.

რაც შეეხება ბიზნესსაქმიანობას, ამის შესახებ მეზობლებს ინფორმაცია არ გააჩნიათ.

ორი პიროვნება, გვარად პოპოვები, როგორც გამოძიებიდან არის ცნობილი, იუსტიციის სამინისტროსთან იმ მერსედესის მარკის ემელის თეთრ ჯიპში იმყოფებოდა, რომელშიც ბიძინა კუჭავამ თავი მოიკლა.

პოპოვები გამოძიებამ უკვე დაკითხა. ისინი გამოძიების მთავარი მოწმეები არიან, რომლებიც, გამოძიების ინფორმაციით, კუჭავას თვითმკვლელობის ადგილზე თავიანთ მანქანაში იმყოფებოდნენ.

❖ ❖ ❖

გუშინ საღამოს დავით პოპოვმა პირველი კომენტარი გააკეთა.

— თავი მოიკლა იმ კაცმა. ორჯერ მყავს სულ ეს ადამიანი ნანახი, — განაცხადა მან.

ეს განცხადება მან კუჭავას ოჯახის ადვოკატებთან ნათია კორკოტაძესთან და გია გოროზიასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

პოპოვი ჟურნალისტების მიმართ აგრესიით გამოირჩეოდა. იგი შეხვედრიდან მოულოდნელად წავიდა.

❖ ❖ ❖

კორკოტაძის ინფორმაციით, ბიძინა კუჭავას თვითმკვლელობის ვერსიას ისიც გამორიცხავს, რომ მას გეგმები ჰქონდა ბიზნესთან დაკავშირებით. როგორც ადვოკატი ამბობს, სწორედ ამიტომ აპირებდა აფრიკაში წასვლას, სადაც ბიზნესმენებს უნდა შეხვედროდა. კუჭავას ოჯახის ინტერესების დამცველი შს მინისტრის მოადგილის განცხადებებსაც გამოეხმაურა და არჩილ თალაკვაძე ცილისწამებაში დაადანაშაულა.

„თალაკვაძე არ იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას. არ შეიძლება ასეთი ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთება. კუჭავას უკან ოჯახი და შვილებია. პატარა შვილი 12 წლის არის. ტელევიზიით გადის სიუჟეტები და მამა ვამპირად გამოჰყავთ, ამ ბავშვს ხომ ესმის ეს ყველაფერი? როდესაც ამ ადამიანს 4 პირის მკვლელობას აბრალებენ, ეს არის სამარცხვინო, ვინც არ უნდა აკეთებდეს ამ განცხადებებს“, — ამბობს კორკოტაძე.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ჰილარი კლინტონმა ტელედებატებში გაიმარჯვა



პუტინი იმ ყაიდის ადამიანებს განეკუთვნება, რომლებსაც მუდამ შენი ძალა უნდა აჩვენო, – ამბობს მისის კლინტონი

ახლოვდება პრაიმერი, რის შედეგადაც გადაწყდება, თუ რომელი რესპუბლიკელი ან დემოკრატი კანდიდატი დაუპირისპირდება ერთმანეთს. დემოკრატ კანდიდატებს შორისაც უკანასკნელი ტელე-დებატები შედგა. ყურადღების ცენტრში დემოკრატების ფავორიტი ჰილარი კლინტონი იყო. თავის უახლოეს კონკურენტ სანდერსს ის მთელი 25 პროცენტით უსწრებს.

– რამდენიმე თვის წინ ჰილარი 50 პროცენტით მისწრებდა. ასე რომ, კმაყოფილი უნდა ვიყო, რომ განსხვავება შემცირდა, – მწარედ იხუმრა სანდერსმა.

სანდერსი და მისის კლინტონი დებატებზე ყურადღების ცენტრში იყვნენ. საგარეო პოლიტიკის სფეროში მათ ფაქტობრივად ერთნაირი პოზიციები დააფიქსირეს. ორივემ აღნიშნა ის პოზიტიური როლი, რაც ირანთან შეთანხმებას ჰქონდა. ასევე პოზიტიურად შეფასდა ისიც, რომ ირანელების მიერ დატყვევებული ამერიკელი საზღვაო ქვეითების გამოხსნა მშვიდობიანი მეთოდებით მოხერხდა.

– ჩვენმა დიპლომატებმა კარგად იმუშავეს, – აღნიშნეს სანდერსმა და ჰილარი კლინტონმა.

ორივე ერთსულოვანი იყო იმაშიც, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემა მხოლოდ აშშ-ს ძალისხმევით ვერ დარეგულირდება. აუცილებელია რეგიონის სხვა ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა, საუდის არაბეთისა და კატარის პროცესებში აქტიური ჩართვა. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, აქ ჰილარის უპირატესობა ნათლად გამოიკვეთა. მან განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის წინააღმდეგი არ არის, თუმცა ეს ბრმად ვერ მოხდება.

– უწინარეს ყოვლისა, რუსეთმა თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე უარი უნდა განაცხადოს; მეორეც, დაფიქრება სჭირდება შემდეგ საკითხს: რას მიიღებს ამ გადატვირთვისაგან ამერიკა? – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

თავის გამოსვლაში მისის კლინტონი ვლადიმერ პუტინის პიროვნებაზეც დაწვრილებით შეჩერდა. სახელმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობისას მისის კლინტონი პუტინს რამდენჯერმე შეხვდა.

– რუსეთის პრეზიდენტი იმ ყაიდის ადამიანებს განეკუთვნება, რომელთაც შენი ძალა უნდა აჩვენო, წინააღმდეგ შემთხვევაში თავზე დაგაჯდება, – ამბობს ქალბატონი ჰილარი.

ექსპერტების აზრით, ტელე-დებატებზე მისის კლინტონი ყველაზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ბრუკლინის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ჯონ ჰიუდაკი ამბობს:

– ჰილარი კლინტონი თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ლაპარაკობდა დინჯად, საქმის ცოდნით. იგრძნობოდა, რომ საკითხებში ჩინებულად ერკვევა. კლინტონი მზადაა გახდეს ქვეყნის პირველი პირი და უმაღლესი მთავარსარდალი, რასაც ვერ ვიტყვით სანდერსზე. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, უნებლიეთ გებადებოდათ გრძნობა, რომ საერთოდ არ ესმით, თუ რა ხდება!

ტელე-დებატებში მისის კლინტონმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. მისი შანსი გახდეს საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული პარტიის კანდიდატი, კიდევ უფრო გაიზარდა. 1 თებერვალს დაიწყება პრაიმერი. პირველი ამომრჩევლები იტყვიან, თუ რომელ კანდიდატს ანიჭებენ უპირატესობას. როგორც ჩანს, ეს მისის კლინტონი იქნება.

რაც შეეხება რესპუბლიკელებს, მათ შორის ჯერჯერობით კვლავაც ტრამპი ლიდერობს, მას მხარს ამომრჩეველთა 30 პროცენტი უჭერს, ხოლო ტრამპის უახლოეს მდევარს ტედ კრუზს – 22 პროცენტი. ამრიგად, ტრამპი სადღეისოდ ლიდერობას ინარჩუნებს, თუმცა კრუზის რეიტინგი დღითიდღე იზრდება. რაც შეეხება ჰილარი კლინტონს, ის ჯერჯერობით მტკიცე ლიდერია.

**ნიკა თევზაძე**

# აშშ-ში მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე აღნიშნეს



აშშ-ში ცნობილი უფლებადამცველის მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე აღნიშნეს. 1994 წელს კონგრესმა ეს დღე ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა. დღეს კინგი ამერიკის ეროვნულ გმირადაა გამოცხადებული. მთელ მსოფლიოში მისი სახელი ადამიანის უფლების დაცვასთან ასოცირდება. ამის გამო კინგი თავის დროზე ნობელის პრემიითაც დააჯილდოვეს.

მარტინ ლუთერ კინგი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. ის ძალადობის ნებისმიერ ფორმას უარყოფდა. „მან კატეგორიულად უარყო საბჭოთა სუკის წინადადება, რათა ანტიამერიკული ძალისმიერი აქციები მოეწყო. კომუნისტური რუმინეთის საიდუმლო პოლიციის სეკურიტატეს ყოფილი ოფიცერი იონ მიხაი პაჩეტა ამტკიცებს, რომ კინგის მკვლელობა სუკის მიერაა ორგანიზებული. ამის დამამტკიცებელი ფაქტები არ არსებობს, თუმცა ფაქტი ერთია: კინგის ღვაწლი უდიდესია იმაში, რომ აშშ-ში რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემა გადაიჭრა და მოხერხდა თანამედროვე ძლიერი დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენება.

# ტრამპს შესაძლოა ბრიტანეთში ჩასვლა აუკრძალონ



აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატს დონალდ ტრამპს შესაძლოა ბრიტანეთში ჩასვლა აუკრძალონ. ამის მიზეზი ტრამპის ანტიმუსლიმანური გამოთქმები გახდა.

– ეს რასობრივი და რელიგიური არატოლერანტობის ტიპიური გამოვლინებაა! ასეთ ე.წ. „მოღვაწეს" დემოკრატიულ ინგლისში არაფერი ესაქმება, – იტყობინება ბიბისი.

ორშაბათს ბრიტანეთის პარლამენტი ტრამპის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტს, აუკრძალონ მას ბრიტანეთში ჩასვლა თუ არა.

# რამზან კადიროვი: „ხალხის მტრებს ვურჩევ, ფსიქიატრს მიმართონ!"

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების ხელმძღვანელის რამზან კადიროვის სიტყვებმა ოპოზიციონერთა დახვრეტის შესახებ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. რუსული ინტელიგენციის კონგრესმა კადიროვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. კადიროვი ამან შეაცბუნა:

– მე კანონიერი ოპოზიციონერების დასჯა არ მომითხოვია! კომპარტია, ლიბერალ-დემოკრატიული პარტია და ა.შ. ეს კანონიერი ოპოზიციაა! მათ მიმართ არავითარი პრეტენზია არა მაქვს.

კადიროვმა განაცხადა, რომ მხედველობაში არასაპარლამენტო ოპოზიცია ჰყავდა, რომელიც, მისი აზრით, თურმე ამერიკული გრანტებით იკვებება, რუსეთს ცილს სწამებს და ა.შ. კადიროვმა კვლავ განაცხადა, რომ ეს ხალხი მოღალატეებად და ამერიკის ჯაშუშებად მიაჩნია.

– როცა მტრული სახელმწიფოსაგან ფულს იღებ და შენს ქვეყანას ცილს სწამებ, ჯაშუში ხარ! ასეთი საქციელი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ისჯება, – ამბობს კადიროვი.

ამავე დროს ჩეჩნეთის მარიონეტი-ხელისუფალი მზადაა ოპოზიციონერთა დახვრეტის იდეა სხვა თეზისით ჩაანაცვლოს:



– საბჭოთა კავშირის დროს ასეთ ხალხს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში უკრავდნენ ხოლმე თავს! ახლა ასე აღარ ხდება იმიტომ, რომ დემოკრატიაა. ხალხის მტრებს ვურჩევ, ფსიქიატრს თავად მიმართონ, ვინძლო განიკურნონ, – აცხადებს კადიროვი.

# თურქეთის პროკურატურამ ერდოღანის ოპონენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა

თურქეთის პროკურატურამ პრეზიდენტ ერდოღანის ოპონენტის ქემალ კალჩდაროღლუს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ოპოზიციონერმა ერდოღანს საჯაროდ დიქტატორი უწოდა.

– პრეზიდენტის შეურაცხყოფისათვის თურქული კანონმდებლობით ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, – იტყობინება „დოიჩე ველე".

კალჩდაროღლი პარლამენტის დეპუტატი და ხელშეუხებელი პიროვნებაა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა აპირებს პარლამენტში მისთვის დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი დასვას.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# უკრაინის მთავრობამ გააუქმა განკარგულება დონბასისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა არსენი იაცენიუკმა გააუქმა განკარგულება დონბასისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის შესახებ. ასეთი რეაქცია მოყვა რუსეთის ბრალდებას, რომ უკრაინა თავის ვალდებულებებს არ ასრულებს და დონბასელებს კუთვნილ ხელფასებს და პენსიებს არ უხდისო.

– ჩვენ მოვალე არა ვართ, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა შევინახოთ, –თქვა პრემიერმა იაცენიუკმა.



რადიკალური პარტიის ლიდერმა ოლეგ ლიაშკომ აბსურდული უწოდა პუტინის მოთხოვნას, რომ დონბასელებისათვის ხელფასი უკრაინის მთავრობას გადაეხადა.

– წარმოიდგინეთ, მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანელებმა უკრაინა დაიპყრეს, ჰიტლერს რომ ეთქვა: დაე, სტალინმა გადაუხადოს ხელფასი როგორც ოკუპირებული უკრაინის მოსახლეობას, ასევე საოკუპაციო ადმინისტრაციას, გესტაპო და პოლიციელები დააფინანსოს! ასევე აბსურდს მოითხოვს დღეს კრემლი, – ამბობს ლიაშკო.

# ოსვენციმის ყოფილი სანიტარი სასამართლოს წინაშე წარდგა

გერმანული სასამართლოს წინაშე წარდგა ვინმე ჰუბერ ჰ. მეორე მსოფლიო ომის დროს ის ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში სს-ის სანიტარულ ნაწილში მსახურობდა.

– ახლა ჰუბერი 95 წლისაა, – იტყობინება ბიბისი.

ყოფილ ესესელს 3 450 ადამიანის მკვლელობაში სდებენ ბრალს. მათ შორისაა ანა ფრანკიც, ავტორი გახმაურებულ წიგნისა „ანა ფრანკის დღიური."

# იენს სტოლტენბერგი: „პოლონეთში ნატოს ჯარების რაოდენობა გაიზრდება"



ვარშავაში ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ჩავიდა. პოლონეთის პრეზიდენტ ან ჟეი დუდასთან საუბარში მან განაცხადა, რომ პოლონეთში ნატოს ჯარების რაოდენობა გაიზრდება. პოლონეთის პრეზიდენტმა დუდამ თავის მხრივ აღნიშნა, რომ ნატოს სამიტზე, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში ჩატარდება, ისტორიულ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჟურნალისტებთან საუბარში დუდამ მეტი დაკონკრეტება არ ისურვა. შეკითხვაზე, რუსეთთან დიალოგის საკითხს როგორ უყურებთო, მიუგო:

– რუსეთთან დიალოგი აუცილებელია, თუმცა შეთანხმება ნებისმიერ ფასად არ უნდა მოხდეს. მოსკოვმა საერთაშორისო სამართლის პრინციპები უნდა აღიაროს და სხვისი ტერიტორიების დაპყრობას შეეშვას! – თქვა დუდამ.


# განცხადებები

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი".

# გორის დილა ნისიად ვარჯიშობს, დინამოს გელაშვილიც შეუერთდა



საქართველოს ჩემპიონმა გორის დილამ 18 იანვრიდან პირველი შეკრება დაიწყო. გუნდი თბილისში დაბინავდა და ორჯერად ვარჯიშებს შეუდგა. 30 იანვრამდე საქართველოს ჩემპიონი თბილისში მოემზადება და პარალელურად სამ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს: 23 იანვარს ცხინვალთან, 27 იანვარს – ბოლნისის სიონთან, ხოლო 30 იანვარს – სამტრედიასთან.

მეორე მოსამზადებელ ეტაპს დილა უკვე თურქეთში გაივლის, სადაც გორელები 12 თებერვლამდე დარჩებიან. თურქულ შეკრებაზე გორელებს ექვსი ამხანაგური შეხვედრა აქვთ დაგეგმილი.

არადა, როგორც ირკვევა, დილას ბიუჯეტი ჯერ არ დამტკიცებულა და გუნდი ორივე შეკრებას ნისიად გადის. საქართველოში ამის მოგვარება იოლი იყო, ხოლო თურქეთში გუნდს ამ კუთხით საფეხბურთო აგენტი დავით ყენია დახმარებია და გორელები თურქულ მხარეს დავალიანებას მას შემდეგ გაუსტუმრებენ, როდესაც თანხა მათ ანგარიშზე დაჯდება.

რაც შეეხება სიახლეებს, გუნდიდან წავიდნენ გიორგი ნავალოვსკი და გიორგი ილურიძე. ასევე ამბობენ, რომ ქართლურ კლუბს დატოვებს გიორგი გვალიაც.

დილას შევსებაც აქვს: ქობულეთის შუქურადან დაბრუნდნენ ალან ბაგაევი და თენგიზ წიქარიძე, ხოლო თბილისის ლოკომოტივიდან – გიორგი თექთურმანიძე, დუბლშემადგენლობიდან პირველ გუნდში ნიკა ელიაური დაწინაურდა. ასევე მიდის საუბარი, რომ შუქურადან გუნდს შეუერთდება გიორგი ჩელებაძე.

თბილისის დინამოში კი საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ნიკოლოზ გელაშვილი ჩაირიცხა. ეროვნული პირველობის ორგზის ბომბარდირის ბოლო კლუბი კვიპროსული პაფოსი გახლდათ. მანამდე დინამოელთა ახალწვეული ვიტ ჯორჯიას, კახეთის, ზესტაფონის, ბოხუმის, ყარაბახისა და ფლამურტარის ღირსებას იცავდა. ნიკოლოზ გელაშვილმა დინამოსთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 99-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დინამოელებმა მორიგი ვარჯიში გამართეს. თბილისელებს ბრაზილიელი ლეგიონერი რენე ფერეირა შეუერთდა და გუნდი ჩემპიონატის მეორე წრისთვის უკვე სრული შემადგენლობით ემზადება.

პო, დედაქალაქელები მცველმა არჩილ ტვილდიანმა დატოვა.

დინამოელებმა პირველი ტესტ მატჩიც დაგეგმეს და 20 იანვარს დიღმის ბაზაზე საბურთალოს უმასპინძლებენ.

ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში საქართველოს საფეხბურთო უმაღლესი ლიგის კლუბებმა მერანმა და ტორპედომ მეორედ ისპარინგეს. მატჩი 1:1 დასრულდა.

პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლებიდან ანგარიში ვაკო გოგოლიძემ გახსნა, ხოლო მეორე ნახევარში ქუთაისელებიდან საპასუხო გოლი ზაურ გოგუაძემ გაიტანა.

**მერანი:** მამალაძე, მელიავა, გიორგაძე, ორბელაძე, კიკნაველიძე, ტეიდი, გოგოლიძე, ხაბელაშვილი, ჯიქია, ჯლამაია, ჩიმაკაძე. შეცვლაზე შეიდნენ: სევოსტიანენკო, რუხაია, ციკოლია, ი. ციცხვაია, დ. ციცხვაია, გეგია, ფაილოძე, გაზდელიანი, კენჩხაძე, თოლორდავა, აშორტია, მოსულიშვილი, მოგელიძე, შენგელია.

**ტორპედო:** ხაინდრავა, ტაბატაძე, ნაცვლიშვილი, მირცხულავა, ბრეგვაძე, შინდაგორიძე, კლიმიაშვილი, სალრიშვილი, კვარაცხელია, ბაბუნაშვილი, კაპანაძე. შეცვლაზე შევიდნენ: მ.ქვილითაია, ფანცხავა, ქიმაძე, მამასახლისი, გოგუაძე, კუხიანიძე, ნერგაძე, ნიკოლოვი, კვერნაძე, წილოსანი, ტუღუში, ბურჯანაძე.

საფეხბურთო კლუბმა ცხინვალმა სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ ბასაზე ამხანაგურ მატჩში 4:0 დაამარცხა მარნეულის ალგეთი.

ანგარიში მე-17 წუთზე გიორგი ივანიშვილის საჯარიმო დარტყმით გაიხსნა, ორ წუთში ირაკლი ლექვთაძემ ორამდე გაზარდა სხვაობა. 29-ე წუთზე თორნიკე გორგიაშვილმა გამოიჩინა თავი, 49-ე წუთზე კი ბურძენაძემ მეოთხე გოლი გაიტანა, რაც მატჩის საბოლოო ანგარიში აღმოჩნდა.

კახა კაჭარავამ პირველი ტაიმის შემდეგ შემადგენლობა მთლიანად შეცვალა:

**ცხინვალი:** ჩუჩალოვი, ცერცვაძე, კაკუბავა, მაისაშვილი, ჯაფარიძე, ქარდავა, გორგიაშვილი, ლექვთაძე, ლობჯანიძე, ივანიშვილი, ღონღაძე

**მეორე ტაიმი:** ნადირაძე, ჯიშკარიანი, კაჭკაჭიშვილი, ბუთუევი, ბეჟვაია, ბურძენაძე, უღრელიძე, ნოზაძე, გორელიშვილი, ფირცხალავა, ტორჩინავა.

ბოლნისის სიონი თურქულ შეკრებამდე სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. 21 იანვარს ქვემოქართლელები რუსთავს დაუპირისპირდებიან, 27 იანვარს – დილას, 30 იანვარს კი სომხურ მიკას.

სიონი 1 თებერვალს თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება, 13 თებერვალს კი სამშობლოში დაბრუნდება.

# ზინედინ ზიდანი: „ჩემმა გუნდმა თანდათან უნდა მოუმატოს“



მადრიდის რეალის ახალმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა გუნდის მომავალზე და იმ ფეხბურთელებზე ისაუბრა, რომელიც სამეფო კლუბში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

ფრანგი სპეციალისტი ასევე ფიფას სანქციას შეეხო, რომელშიც მისი შვილების საკითხიც ფიგურირებს.

***– ფიფას სანქციას როგორ შეაფასებდით?***

– ის, რაზეც ფიფა გვედავება, აბსურდია. მათ სურთ, რომ ჩემს შვილებზე ვისაუბრო და თავის მართლება დავიწყო. დიახ, ჩემი ბავშვები მადრიდის რეალის აკადემიაში ირიცხებიან და ეს მათი დაჟინებული მოთხოვნით მოხდა. ოთხივე მათგანს ძალიან უყვარს სამეფო კლუბი. ისინი აკადემიის წევრები არიან და ყველაფერი კანონიერად მოხდა. მათ გაიარეს სინჯები და სელექციის შედეგად მოხვდნენ გუნდში, ისევე როგორც დანარჩენი ახალგაზრდა მოთამაშეები. ამ მხრივ სამეფო კლუბს ყველაფერი რიგზე აქვს. მე ახლა მინდა, რომ მხოლოდ მომდევნო მატჩზე ვიფიქრო.

***– კრიზისული პერიოდი უდგას კრიშტიანო რონალდუს.***

– კარიერაში ყველა ფეხბურთელს აქვს გასაჭირი და გამონაკლისი არც რონალდოა. თუ რონი ერთ მატჩში სამ გოლს ვერ იტანს, მაშინვე კრიტიკას იმსახურებს. პორტუგალიელი ვარსკვლავი ძალიან ბევრს შრომობს და, დარწმუნებული ვარ, იგი კიდევ ბევრჯერ გაიბრწყინებს.

***– სამეფო თასზე გუნდი შეცდომის გამო გამოვარდა. ამ ფაქტს როგორ შეაფასებთ?***

– სამწუხაროა, რომ მცირედი უყურადღებობის გამო გუნდი ესპანეთის თასზე ასპარეზობას გამოეთიშა. მიუხედავად ამისა, გუნდი განაგრძობს წინსვლას. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაზე და პრიმერა დივიზიონში შეგვიძლია წარმატების მიღწევა. მართალია ლა ლიგაში მესამე ადგილზე ვიმყოფებით და ჩვენი მთავარი მეტოქეები რამდენიმე ქულით წინა არიან, თუმცა ჯერ მხოლოდ სეზონის ნახევარია გასული და თუ მოვინდომებთ ჩამორჩენას აუცილებლად შევამცირებთ.

***– თქვენს სათამაშო სტილსა და იდეებზე რას გვეტყვით?***

– ფეხბურთელები მაქსიმალურად იტვირთებიან, რათა დეტალური ინფორმაცია მივიღო მათი უნარ-ჩვევების შესახებ. მათი მუშაობით კმაყოფილი ვარ. თანდათან, ალბათ, უფრო კარგ შთაბეჭდილებას დატოვებს ჩემი გუნდი, ყოველ შემთხვევაში, ეს არის ჩემი უმთავრესი ამოცანა.

***– პოლ პოგბას ტრანსფერის საკითხი სერიოზულად დგას?***

– პოგბა დიდებული ფეხბურთელია. მისი თამაშით მოხიბლული ვარ და არ დაგიმალავთ, რომ ძალიან მომწონს, როგორც ფეხბურთელი და როგორც ადამიანი. მიუხედავად ამისა, მე ამ ეტაპზე მხოლოდ ჩემს გუნდში რიცხულ ფეხბურთელებზე ვფიქრობ, რადგან ისინი არიან ახლა ჩემი მთავარი საბრძოლო ირაღი, რომელსაც ტიტულების მოპოვებაში გამოვიყენებ.

***– დევიდ ბეტონზე რას გვეტყვით?***

– დევიდი ჩემი ერთ-ერთი ასისტენტია. მისი სამწვრთნელო შტაბში ჩარიცხვა იმიტომ გადაწყდა, რომ მას აქვს უნარი, ფეხბურთელებთან მაქსიმალური სიახლოვე დაამყაროს და ყველა პრობლემა გამოკითხოს.

***– ოქროს ბურთის საკითხი ყოველ წელს სადავო ხდება. როგორია თქვენი აზრი ამ ტიტულთან დაკავშირებით?***

– ეს არის ყველაზე მთავარი მიზანი თითოეული ფეხბურთელისთვის. ბოლო წლებში რონალდოსა და მესის ვერავინ შეედრება. ისინი თანამედროვე ფეხბურთის უდიდესი ვარსკვლავები არიან. წელს გამარჯვებულად ბარსელონის ფეხბურთელი დასახელდა და ყველამ აუცილებლად უნდა მივულოცოთ მას.

***– საუბრები მიდის მონაკოდან ფაბიო კოენტრაუს დაბრუნებაზეც.***

– ფაბიოს თამაში კარგად ვიცი. მე მასთან მუშაობა მომიწია, როდესაც კარლო ანჩელოტის დამხმარე ვიყავი. მოხარული ვარ მისი წარმატებით და იმით, რომ მას სხვა კლუბში საკმარისი სათამაშო დრო ეძლევა, თუმცა ამ ეტაპზე მე იმ შემადგენლობით კმაყოფილი ვარ, რომელიც ახლა ჩემს განკარგულებაშია.

***– შესაძლებელია ხამეს როდრიგესმა სამეფო კლუბი დატოვოს?***

– ორი აზრი არ არსებობს, რომ კოლუმბიელი ფეხბურთელი დღეს ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია. მას შეუძლია გოლების გატანაც და საგოლე პასების გაკეთებაც. ვარჯიშზე თითოეულ ფეხბურთელს ვსინჯავ და იმის მიხედვით ვიღებ გადაწყვეტილებას.

***– თქვენს ფავორიტად მიიჩნევენ რაფაელ ვარანს. განიცდის ეს ფეხბურთელი ევოლუციას?***

– რაფაელი ჩემი გუნდის მომავალი ბურჯი იქნება დაცვის ცენტრში. იგი უნიჭიერესი მცველია და, იმედი მაქვს, მის გაზრდას პროფესიულად აუცილებლად შევძლებთ.

***– სერხიო რამოსის ტრავმა მუშაობაში ხელს არ გიშლით?***

– კაპიტანი თავს შედარებით კარგად გრძნობს. სამედიცინო შტაბთან კონსულტაციები გავიარეთ და გადაწყდა, რომ იგი კიდევ ერთ კვირას გაატარებს სპორტულ დარბაზში. რეაბილიტაციის გავლის შემდეგ კი რამოსი გუნდს შეუერთდება და მათთან ერთად ივარჯიშებს მინდორზე.

# წყალბურთელებმა ჰოლანდიასთანაც წააგეს



ბელგრადში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე 9-12 ადგილებისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრები ჰოლანდიას დაუპირისპირდა და პენალტების სერიაში 15:16 (ძირითადი დრო 9:9) დამარცხდა.

პირველ მეოთხედში 2 ბურთით დავწინაურდით, მაგრამ მოვახერხეთ და დიდ შესვენებამდე მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მივეცით. მესამე მეოთხედი უფრო აქტიურად ჰოლანდიელებმა ჩაატარეს და დასკვნით პერიოდ უკვე ისინი შეხვდნენ 2-ბურთიანი ჰანდიკაპით. ჩვენმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, ძირითად დროში თითქმის წაგებული თამაში გადაარჩინა და პენალტების სერიაში გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა.

პენალტების სერიაში 4:4-ზე გადამწყვეტი პენალტი ჩვენებს ეკუთვნოდათ და მოულოდნელად პენალტი ახალგაზრდა რევაზ იმნაიშვილმა დაარტყა, რომელსაც მეტოქის მეკარემ აჯობა.

საქართველოს ნაკრებიდან ბოლო პენალტი დამირ ცრეპულიამ შეასრულა, რომელმაც ჯამში 4 გოლი გაიტანა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგა.

საქართველოს ნაკრები ბრძოლას მე-12 -16 ადგილებისთვის გააგრძელებს. იოვან პოპოვიჩის გუნდის მეტოქე 21 იანვარს თურქეთი იქნება.

# 17 წლამდე ნაკრებმა მოლდოვას მოუგო



მინსკის ტურნირის პირველ ტურში საქართველოს 17 წლამდე ნაკრებმა 5:4 დაამარცხეს მოლდოველი თანატოლები.

ანგარიში ანდრონიკაშვილმა გახსნა, მაგრამ პირველ ტაიმში მოლდოველებმა სამჯერ მოახერხეს გატანა და პირველი ტაიმი მოლდოველთა გამარჯვებით დასრულდა – 3:1.

აღსანიშნავია, რომ ვასილ მაისურაძის გუნდმა, ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, გამარჯვება შეძლო.

მეორე ნახევარი ქართველი ფეხბურთელების აქტიურობით დაიწყო და ჩაკვეტაძემ, სილაგაძემ და ხარაბაძემ წინ უკვე საქართველოს ნაკრები გაიყვანეს – 4:3.

მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მოლდოველებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მატჩის მიწურულს თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ჩაკვეტაძის მიერ გატანილი გოლით გამარჯვება მაისურაძის გუნდს დარჩა – 5:4.

ჩვენი ჯგუფში ერთმანეთს ფინეთისა და უკრაინის ნაკრებები დაუპირისპირდნენ და მატჩი უგოლოდ დასრულდა.

საქართველოს 17 წლამდე ნაკრები მორიგ მატჩს ფინელ თანატოლებთან გამართავს, ხოლო ტურის დასკვნითი შეხვედრა უკრაინის წინააღმდეგ ელის.

ვასილ მაისურაძის გუნდის შემადგენლობა მოლდოვასთან ასეთი იყო:

გუგეშაშვილი, ხარაბაძე, კიკალიშვილი, ასათიანი, ქაფიანიძე (ტაბატაძე 41), კუცია, ანდრონიკაშვილი, ჩაკვეტაძე, სილაგაძე (ღლონტი 77), ერგემლიძე (კასრელიშვილი 41), სპანდერაშვილი

# შედეგები

**18 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სუონსი-უოტფორდი ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 22 | 13 | 5 | 4 | 37-21 | 44 |
| 2.ლესტერი | 22 | 12 | 8 | 2 | 39-26 | 44 |
| 3.სიტი | 22 | 13 | 4 | 5 | 43-21 | 43 |
| 4.ტოტენჰემი | 22 | 10 | 9 | 3 | 38-18 | 39 |
| 5.მანჩესტერი | 22 | 10 | 7 | 5 | 28-20 | 37 |
| 6.ვესტ ჰემი | 22 | 9 | 8 | 5 | 34-26 | 35 |
| 7.სტოკი | 22 | 9 | 6 | 7 | 24-22 | 33 |
| 8.კრ.პალასი | 22 | 9 | 4 | 9 | 23-24 | 31 |
| 9.ლივერპული | 22 | 8 | 7 | 7 | 25-28 | 31 |
| 10.საუთჰემპტონი | 22 | 8 | 6 | 8 | 31-24 | 30 |
| 11.ევერტონი | 22 | 6 | 11 | 5 | 39-32 | 29 |
| 12.უოტფორდი | 22 | 8 | 5 | 9 | 25-25 | 29 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 22 | 7 | 6 | 9 | 22-30 | 27 |
| 14.ჩელსი | 22 | 6 | 7 | 9 | 31-34 | 25 |
| 15.ბორნმუთი | 22 | 6 | 6 | 10 | 26-37 | 24 |
| 16.ნორვიჩი | 22 | 6 | 5 | 11 | 24-38 | 23 |
| 17.სუონსი | 22 | 5 | 7 | 10 | 20-30 | 22 |
| 18.ნიუკასლი | 22 | 5 | 6 | 11 | 24-39 | 21 |
| 19.სანდერლენდი | 22 | 5 | 3 | 14 | 27-45 | 18 |
| 20.ასტონ ვილა | 22 | 2 | 6 | 14 | 18-38 | 12 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-გრანადა ............................ 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 20 | 15 | 2 | 3 | 30-8 | 47 |
| 2.ბარსელონა | 19 | 14 | 3 | 2 | 50-15 | 45 |
| 3.რეალი | 20 | 13 | 4 | 3 | 57-19 | 43 |
| 4.ვილიარეალი | 20 | 12 | 4 | 4 | 26-16 | 40 |
| 5.სელტა | 20 | 10 | 4 | 6 | 32-30 | 34 |
| 6.ეიბარი | 20 | 9 | 6 | 5 | 32-21 | 33 |
| 7.სევილია | 20 | 9 | 5 | 6 | 28-22 | 32 |
| 8.დეპორტივო | 20 | 6 | 10 | 4 | 27-24 | 28 |
| 9.ბილბაო | 20 | 8 | 4 | 8 | 27-28 | 28 |
| 10.ხეტაფე | 20 | 7 | 5 | 8 | 24-28 | 26 |
| 11.ვალენსია | 20 | 5 | 9 | 6 | 25-21 | 24 |
| 12.მალაგა | 20 | 6 | 6 | 8 | 15-17 | 24 |
| 13.სოსიედადი | 20 | 5 | 6 | 9 | 23-28 | 21 |
| 14.ესპანიოლი | 20 | 6 | 3 | 11 | 18-33 | 21 |
| 15.ბეტისი | 20 | 5 | 6 | 9 | 13-28 | 21 |
| 16.ლას პალმასი | 20 | 4 | 6 | 10 | 19-30 | 18 |
| 17.გრანადა | 20 | 4 | 5 | 11 | 21-41 | 17 |
| 18.რაიო | 20 | 4 | 4 | 12 | 23-45 | 16 |
| 19.ხიხონი | 19 | 4 | 3 | 12 | 17-34 | 15 |
| 20.ლევანტე | 20 | 3 | 5 | 12 | 17-36 | 14 |

**იტალია. სერია ბ**

კროტონე-კალიარი ........................ 3:1
ენტელა-ასკოლი ............................ 4:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ვალანსიენი-მეცი ............................ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პლატანიასი-ოლიმპიაკოსი ............ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ესკიშეჰირი-ფენერბახჩე ................. 0:3

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

მონფილსი-სუგიტა ............. 6:1;6:3;6:2
ჩეჩინატო-მაიუ ............ 6:4;2:6;2:6;2:6
ბოლელი-ბაკერი ........... 7:6;7:6;6:7;7:6
ტომიჩი-ისტომინი ........ 6:7;6:4;6:4;6:4
ფერერი-გოივეკი ............. 6:4;6:4;6:2
იტო-შტეპანეკი ............ 4:6;3:7;7:6;2:6
დანიელი-როსოლი . 6:7;5:7;7:5;7:6;1:6
სოკი-ფრიტცი ......... 6:4;3:6;0:6;6:3;6:4
დუკვორტი-ჰიუიტი ............ 6:7;2:6;4:6
ტურსუნოვი-ვავრინკა ........ 6:7;3:6;0:6

**ქალები**

კერბერი-დიო ....................... 6:7;7:6;6:3
სანდერსი-დულჟერუ ................ 4:6;2:6
არუაბარენა-ზარევსკა ....... 6:7;6:3;6:3
კროუფორდი-კოვინიჩი ............ 2:6;4:6
მატეკი-ალერტოვა .............. 4:6;7:6;3:6
იოვანოვსკი-კორნე .................. 1:6;0:6
ლარსონი-ბეგუ .......................... 6:3;6:2
ბრენგლე-ვანდევეგე ................. 6:3;6:4
ჟანგი-ჰალეპი ............................ 6:4;6:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ნიკა გვარამიას ხელოვანები დაუპირისპირდნენ

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც ნიკა გვარამიამ ზაქარია ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერი“ უსაშინლესი უწოდა, კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. რიგითი მოქალაქეების გარდა, რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორს ხელოვანებიც დაუპირისპირდნენ, თუმცა დისკუსიაში ჩაერთნენ ისეთებიც, ვინც გვარამიას მოსაზრება გაიზიარა და თემასაც საინტერესო უწოდა.

**ოთარ ტატიშვილი, კომპოზიტორი:**

– ეს მართლა ნაგავი, რამე მაინც ესმოდეს ან იცოდეს ამ სფეროში. ამგვარი განცხადებების მისაცემად ვინ მისცა უფლება ამ ერის სიმახინჯეს.

**ნიკა ნიკვაშვილი, პიანისტი:**

– როგორ მაინტერესებს, ამ ახალგაზრდა ჭაბუკს ან მეგობარი არ ჰყავს მუსიკოსი ან ნაცნობი ან რა ვიცი, ვინმე?! შეეკითხოს მაინც აზრი, სანამ ასეთ გენიალურ აზრებს გადმოაფრქვევს... და, რაც მთავარია, ტელევიზიას ხელმძღვანელობს... ნამდვილად უმძიმესი ვითარებაა! ვუსამძიმრებ მის არხს და გულწრფელად ვუსურვებ გონებრივ განვითარებას!!!

**დავით საყვარელიძე, რეჟისორი:**

– ძალიან საინტერესო თემა წამოსწიე! მე შემიძლია ავხსნა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეს ოპერა. ცოტა ბევრის წერა მომიწევს. ამ ფორმატში ვერ მოვახერხებ. ისე, ძალიან მინდა გაგიზიაროთ ჩემი აზრი. ამიტომ ერთ საღამოს სადმე დაგპატიჟებთ! მე მაინც ძალიან მიყვარს ქართული ოპერა! თან რაღაც მეცოდება, რომ ჩვენს ხელში ასცდა ჭეშმარიტ გზას!

თავის მხრივ, ნიკა გვარამიამ ყველას მოსაზრება მოისმინა და საბოლოო ვერდიქტიც გამოიტანა:

– ხალხი, რომელიც ვერ იტანს მუსიკის კრიტიკას მხოლოდ იმის გამო, რომ ის ქართულია, არის შავრაზმელი და არაფრით განსხვავდება ეკლესიასა თუ ცრუ პატრიოტიზმს მიკედლებული შავრაზმელებისგან. ასეთი სექტანტები საშიშნი არიან, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა და ვერაფრით, ხაზს ვუსვამ, ვერაფრით ვერ იქნებიან გულწრფელი პროევროატლანტისტები. სრულიად დარწმუნებული ვარ



თან, გაწიწმატებულთა უმრავლესობას მოსმენილიც არ აქვს აბესალომი.

აბესალომის გამო ჩემთან, მათ შორის, იმ ხალხის დაპირისპირება, რომლებიც დეკლარირებული ევროატლანტისტები არიან, კიდევ ერთხელ აშიშვლებს ჩვენს მთავარ ეროვნულ პრობლემას, ღრმად პროვინციულ ეთნოცენტრიზმს.

განათლების სისტემაა ამაში დამნაშავე, სისტემა, რომელიც არ ეფუძნება კრიტიკული ანალიზის მეთოდს, მით უფრო, ეროვნული მითოლოგიის სფეროში, ისტორია იქნება ეს თუ კულტურა. ყველა მეფე განუმეორებელია, ყველა მწერალი და კომპოზიტორი – დიადი. ესაა სუფთად რუსული პარადიგმა და არაფერია მასში ევროპული. ეს სისტემა შობს სწორედ მავნებელ სტერეოტიპებს და ისვეა ჩვენი პროვინციალიზმის პირველწყარო.

მეორე საკითხია კიდევ ის, რომ რაღაც ჯგუფები გაჩნდა, რომლებიც ეროვნული სინდისის პოლიციის ფუნქციას ითავსებენ და სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკური მიზნების მოტივირებით აგრესიულად ურჩევენ საქმეს გია ნოდიას დუმბაძის გამო და მე – აბესალომის გამო. პირად თავისუფლებაზე უფრო დიდი მიზნები არ არსებობს. სწორედ პირად თავისუფლებაზე გადის ყველა დიდი მიზნის მიღწევის გზა. კოლექტიური ფსიქოზის გზით ჰიტლერი აირჩიეს.

სპორტი

## კოკოშკოვი სლოვენიაშია

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი რომ ეყოლება, დადასტურებული ამბავია. ჩვენი ნაკრების ახალი თავკაცის ვინაობას, ევროპირველობის წილისყრის შემდეგ შევიტყობთ. კენჭისყრა კი 22 იანვარს გერმანიის ქალაქ მიუნხენში შედგება.

საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, სერბი იგორ კოკოშკოვი, რომელიც ჩვენს გუნდს 2008 წლიდან თავკაცობდა უკვე სლოვენიის ეროვნულ ნაკრებში იმუშავებს.



44 წლის კოკოშკოვს საქართველოს ნაკრებთან კონტრაქტი 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამოეწურა. მოგვიანებით, სერბმა სპეციალისტმა ქართული საკალათბურთო სამყაროს სპეციალური განცხადებით მადლობაც გადაუხადა და ცხადი გახდა, რომ კოკოშკოვის სამწვრთნელო კარიერაში ახალი ეტაპი დაიწყებოდა.

გეტყვით იმასაც, კოკოშკოვმა სლოვენიელთა თავკაცის პოსტზე იურე ზდოვცი შეცვალა. ერთია, სლოვენიელებს სერბ სპეციალისტთან ხანგრძლივი კონტრაქტი არ გაუფორმებიათ და სამსახური მხოლოდ 1 წლით შესთავაზეს. მხარეები თანამშრომლობას იმ შემთხვევაში გააგრძელებენ, თუკი ეროვნული გუნდი 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს წარმატებით დაძლევს.

**იგორ კოკოშკოვი:**

– ჩემთვის სლოვენიის ნაკრების გაწვრთნა უდიდესი პატივია. მინდა, ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას ნდობისთვის მადლობა გადავუხადო. სლოვენიურ კალათბურთს დიდი პოტენციალი გააჩნია და ახალგაზრდულ ნაკრებებშიც არაერთი საინტერესო მოთამაშეა. ჩვენი მთავარი მიზანი ევრობასკეტ-2017-ის საგზურის მოპოვებაა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ვინი პუხის პროტოტიპი რეალურად არსებული დათვის ბელი ყოფილა

2016 წელს სრულდება 90 წელი ინგლისელი მწერლის ალან ალექსანდრე მილნის მოთხრობის „ვინი პუხის თავგადასავალი“ გამოქვეყნებიდან. ეს წიგნი საბავშვო ლიტერატურის კლასიკადაა აღიარებული. ის ქართულადაც ითარგმნა. მასზე არაერთი თაობა აღიზარდა. გრანდიოზული წარმატება ჰქონდა რუსი კინემატოგრაფისტების მიერ გადაღებულ მულტიპლიკაციურ ფილმს „ვინი პუხი“, სადაც დათუნიას თავად ლეგენდარული ევგენი ლეონოვი ახმოვანებდა.

ბიბისი-მ „ვინი პუხის“ ავტორის მილნის შემოქმედებას გადაცემების მთელი სერია მიუძღვნა. გადაცემებში მოყვანილ იქნა ნაწყვეტები მწერლის დღიურებიდან. მილნი წერს, რომ ვინი პუხის პროტოტიპი რეალურად არსებული დათუნია იყო. როცა მწერალმა თავისი ოთხი წლის ვაჟი ქრისტოფერ რობინი ზოოპარკში წაიყვანა, ბიჭს ძალიან მოეწონა პაწაწინა დათვის



ბელი. ქრისტოფერ რობინიც მას ტკბილეულით გაუმასპინძლდა. ამის შემდეგ ბიჭი ზოოპარკში წაყვანას სისტემატიურად მოითხოვდა, რათა თავისი მეგობარი ბელი ენახა. ქრისტოფერ რობინმა მას ალერსით ვინი შეარქვა. ბელიც ბიჭის დანახვაზე წამოხტებოდა ხოლმე. ქრისტოფერ რობინი მას ტკბილეულით უმასპინძლდებოდა, რაც ვინის ძალიან მოსწონდა. მალე მამამ ქრისტოფერ რობინს დაბადების დღეზე სათამაშო დათუნია მიართვა, რომელიც ვინის ძალზე ჰგავდა. ის ისე ოსტატურად იყო გაკეთებული, რომ მართლაც ნამდვილი დათვის ბელი გეგონებოდათ. ბიჭისათვის ეს დათუნია საყვარელი სათამაშო გახდა. როგორც ცნობილია, ქრისტოფერ რობინი მწერალი-მემუარისტი გახდა, მისი წიგნები კი მსოფლიო ბესტსელერებად იქცა. მიუხედავად ამისა სათამაშო დათვის ბელი სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. უკვე მოწიფულ ასაკშიაც კი ქრისტოფერ რობინი მას ელაპარაკებოდა, ფიქრებს უზიარებდა, თავის ნაწარმოებებსაც უკითხავდა.

– როცა ხუთი წლის ქრისტოფერ რობინი ავად გახდა, მამა მას სახელდახელოდ შეთხზულ ზღაპრებს უყვებოდა, რომლის გმირიც მისი საყვარელი ბელი იყო, – იტყობინება ბიბისი.

მოთხრობა „ვინი პუხის თავგადასავალიც“ ამ ზღაპრების საფუძველზე შეიქმნა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ნიკა ქავთარაძე ცოლს მალავს



იუმორისტი ნიკა ქავთარაძე მეორედ დაქორწინდა. ეს ინფორმაცია მან სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და უამრავი მილოცვაც მიიღო, მაგრამ თავის რჩეულს საგულდაგულოდ მალავს, როგორც თავად ამბობს, პაპარაცებისგან. ნიკამ თავის რჩეულთან გადაღებული პირველი ფოტო „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა, თუმცა მხოლოდ ზურგშექცევით.

ნიკა ქავთარაძე პირველ მეუღლეს რამდენიმე წლის წინ გაშორდა. ვერიკო ბედელაძესა და ნიკა ქავთარაძეს სამი შვილი ჰყავთ, ორი გოგონა და ერთი ბიჭი. ოჯახის დანგრევის შემდეგ იუმორისტმა ურთიერთობა ანინა ტეფნაძესთან დაიწყო, თუმცა მალევე დაასრულა.

ამჯერად ნიკა ქავთარაძემ ოჯახის შექმნა მეორედ გადაწყვიტა. მისი რჩეული ქეთია, რომელსაც საზოგადოებაში გამოჩენა არ სურს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



## იაპონიაში პლანეტის უხუცესი მაცხოვრებელი გარდაიცვალა

იაპონიაში მსოფლიოს ყველაზე ხანდაზმული მამაკაცი გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას იაპონური სააგენტოები ავრცელებენ. იასუტარო კოიდე ქალაქ ნაგოიას საავადმყოფოში 19 იანვარს გარდაიცვალა. ის 112 წლის იყო.

კოიდე, რომელიც 1903 წლის 13 მარტს დაიბადა პროვინცია ფუკუიში, პლანეტის უხუცეს მამაკაცად მას შემდეგ იქნა აღიარებული, როდესაც გასული წლის 7 ივლისს ასევე 112 წლის ასაკში გარდაიცვალა მისი თანამემამულე საკარი მომოი.

გასული წლის 28 სექტემბერს იაპონიაში 115 წლის ასაკში გარდაიცვალა ქვეყნის მცხოვრები უხუცესი ქალბატონი. მისი ოჯახის წევრების თხოვნით მისი სახელი არ გაუმჟღავნებიათ და მხოლოდ მითითებული იქნა, რომ ის 1900 წლის 15 მარტს ტოკიოში იყო დაბადებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 20 იანვრისთვის



**ვერძი** – რთული დღე იქნება. შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. კონფლიქტი გელით ახლობლებთან. **კურო** – საკუთარი თავის რწმენა გემატებათ. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **ტყუპები** – კარგი პერიოდია შვებულებაში გასასვლელად ან, უბრალოდ, ბუნების წიაღში დასასვენებლად. **კირჩხიბი** – თქვენი მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ელოდეთ ძვირფას სტუმრებს. მეორე ნახევარი თქვენით ამაყობს. **ლომი** – რთული დღე იქნება. შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. კონფლიქტი გელით ახლობლებთან. **ქალწული** – ნუ გადაიღლებით. ეს თქვენი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. ახალი საქმის დაწყება არ ღირს. იყავით თავდაჯერებული და არ შეუშინდეთ სიძნელეებს, რომლებიც დღეს შეგხვდებათ. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა ძალიან გაგახარებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა რეკომენდებული არ არის. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზე გაქვთ. ბიზნესკონტაქტები გაამართლებს. ცრუ დაპირებების გაცემისაგან თავი შეიკავეთ. ზედმეტი ნდობა ადამიანების მიმართ დაგაზარალებთ. **მშვილდოსანი** – იღბლიანი დღეა. პროფესიულ სფეროში აქტიურობა წარმატებას მოგიტანთ. გადაწყვეტილებას უცებ ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ბიზნესმენებმა დღეს იაქტიურეთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მერწყული** – ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები ყურად იღეთ. **თევზები** – თქვენი სექსუალურობა და პიროვნული მომხიბვლელობა ზენიტშია. ოჯახში სტაბილური სიტუაცია გაქვთ. ნუ იჯიუტებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სპეციალური დანიშნულების მატარებელი; 2. ადამიანის, ცხოველის ძვლების ერთობლიობა; 3. პროფესიონალი, შანტაჟისტი, დამსმენი ძველ საბერძნეთში; 4. აღმოსავლური, ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 5. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. სუსტი არაყი; 11. მრგვალი, გუმბათოვანი ნაგებობა, პავილიონი პარკებში; 13. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 15. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 16. ნავსადგური ყირიმში; 18. უილიამ შექსპირის ტრაგედია; 19. გერმანული პარფიუმერული ფირმა.

**თარაზულად**: 6. გერმანული ჟურნალი; 8. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული სამკურნალო ალკალოიდი; 9. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 10. ყურის ექიმი; 12. სახელმწიფო აზიაში; 14. მასწავლებელი, დამრიგებელი იაპონიაში; 17. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 20. ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 21. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 22. მინერალური წყალი სამეგრელოში; 23. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაჩულია; 2. რენო; 3. თერგი; 4. კრუიფი; 6. მაშარაბი; 9. რუნიტა; 13. კარდიფი; 14. პაოლინი; 15. პოპოლო; 17. ფანზა; 18. ჩხუტი; 20. იედო.

**თარაზულად:** 1. ფერხისა; 2. დრამი; 7. გეიმერი; 8. ჩონგური; 10. ჰერში; 11. გუელი; 12. შატილი; 16. სახიბი; 17. ფარჩა; 19. რომა; 21. ეოლითი; 22. აზარტი; 23. კოპიჭი; 24. მიმინო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბრინჯაო; 2. ბოხოხი; 3. ჩაინტაუნი; 4. მუჯირი; 5. მელბურნი; 7. უშბა; 11. დანლოპი; 13. დეფექტი; 15. ერაყი; 16. ჰონდა; 18. რენტა; 19. ტუმბო.

**თარაზულად:** 6. რატუშა; 8. ბოზბაში; 9. ბაჯაღლო; 10. ჯომარდი; 12. პიეტა; 14. მიზერი; 17. ნეფერტიტი; 20. პროლოგი; 21. ჭყვიში; 22. ტაიბეი; 23. ფარავანი.

# ქართველი პიანისტის აღიარება გერმანიაში



ახალგაზრდა ქართველი პიანისტი დუდანა მაზმანიშვილი წლებია უცხოეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. დუდანა გერმანიაში საქართველოს საელჩოში მუშაობს და ქართულ კულტურას უწევს პოპულარიზაციას. დუდანა 6 ენაზე საუბრობს და ფენომენალურად უკრავს ფორტეპიანოზე. მას კრიტიკოსმა ჰარის გოლდსმიდტმა დებიუტისთვის ნიუ იორკში „წლის აღმოჩენა“ უწოდა.

ახალგაზრდა პიანისტმა არაერთი საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსი მოიგო. გერმანიის მთავარმა რადიომ ქართველ პიანისტსა და მის სოლოკონცერტს რურის მუსიკის ფესტივალზე ორსაათიანი გადაცემა მიუძღვნა.

ინფორმაცია საქართველოს ელჩმა გერმანიაში ლადო ჭანტურიამ გაავრცელა:

– გერმანიის მთავარმა რადიომ დაამთავრა ორსაათიანი გადაცემა, რომელიც მიეძღვნა ქართველ პიანისტ დუდანა მაზმანიშვილსა და მის სოლოკონცერტს რურის მუსიკის ფესტივალზე. ეს არის ამ განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე და შრომისმოყვარე ხელოვანის უდიდესი აღიარება გერმანიაში. გულით ვულოცავ დუდანას ამ დიდ გამარჯვებას და ბედნიერი ვარ, რომ იგი საქართველოს საელჩოში ბერლინში ქართულ კულტურას უდგას სათავეში.

# ერეკლე დეისაძე: „რატომ დავწერე „რაც მამას უნდა“?!

მომღერალი და პოეტი ერეკლე დეისაძე თავის ერთ-ერთ ჰიტზე „რაც მამას უნდა“ და იმ ნაწარმოებებზე საუბრობს, რომლებმაც მას არნახული პოპულარობა, ბევრი კრიტიკა, მკითხველისა და მსმენელის აგრესია თუ სიყვარული მოუტანა.



**ერეკლე დეისაძე:**

– მოგეხსენებათ, ჩემი გახმაურებული წიგნი „საიდუმლო სირობა“, რომელიც იმ წელს ბესტსელერი გახდა, მოთხოვნების მხრივ საქართველოში „ჰარი პოტერთან“ ერთად დაასახელეს. ეს ამბავი უცნობმა გოგონამ რადიო „ფორტუნადან“ იმ დროს მამცნო, როცა ამავე წიგნის გამო მალვაში ვიმყოფებოდი, ეთერში ჩართვაც კი მომიწია ტელეფონით და ჩემზე განაწყენებულ ერს მადლობაც გადავუხადე.

როცა მღელვარება ჩაცხრა და ოჯახში დავბრუნდი, მახსოვს, მამაჩემმა გვერდზე გამიყვანა და მისაყვედურა:

– შენზე ამხელა ამაგი მაქვს, შვილო, დედაზე ისეთები დაწერე, მთელმა ქვეყანამ გაგიცნო, ფაქტობრივად შენი მწერლად მონათვლა შედგაო.

– რისი თქმა გინდა? – სიტყვა შევაწყვეტინე განაწყენებულ მამაჩემს.

– არაფრის თქმა არ მინდა, – ამოიოხრა მამამ, – უბრალოდ, ჩემზეც მინდა ერთი-ორი სიტყვა დაწეროო.

– მე ვუთხარი, შენ არ ინერვიულო, შენზე ვიმღერებ-მეთქი.

– რას იმღერებო? – გაოცდა მამა.

– რაც მამას უნდა, იმას ვიმღერებ-მეთქი.

– მაშინ შენ ტექსტზე იფიქრე, ფონოგრამის ფულს მე და მამიდაშენი გადავიხდითო.

– სად გაქვს მამა ფონოგრამის ფული? – ვკითხე.

– არ ინერვიულო, შვილო, უკვე გადავრეკე და მთელი სანათესავო ფეხზე დგას. მიდი, შენ ტექსტზე იმუშავეო.

ასე დაიწერა „რაც მამას უნდა“.

დედაჩემის წყალობით მწერალი გავხდი.

მამაჩემის წყალობით – მომღერალი.

მამას რაც უნდა, ახლაც იმას ვმღერი და, იმედია, მომავალშიც ასე იქნება, იმიტომ რომ მას მოსწონს ჩემი მუსიკა. ნეტა პირველი ვარ, ვინც თავისი მუსიკით მამას გულს უხარებს? არ მინდა, კონკურენტები მყავდეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ნაკლებად კონკურენციის მეშინია.

# ქუთაისის თეატრის კედლები შეღებეს



ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის კედლები შეღებეს. ვანდალური აქტი შენობაზე გვიან ღამით განხორციელდა. ვარდისფერი საღებავით თეატრის კედელი უცნობმა პირმა შეღება. შემთხვევას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ვინაიდან შენობის სიახლოვეს სათვალთვალო კამერები დამონტაჟებული არ არის, ამიტომ დამნაშავეების პოვნა შეუძლებელია.

თეატრის დირექტორ სულხან გოგოლაშვილის ინფორმაციით, ქუთაისის თეატრი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მას იუნესკო იცავს:

– სამწუხაროა, რომ მსგავსი ვანდალური ფაქტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე მოხდა და ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია. ქუჩის მხატვრობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ უნდა იცოდნენ, კედლები სად მოხატონ. თუ ეს ხდება შენობაზე, რომელიც მიტოვებულია და ამით მხატვარი მის გაცოცხლებას ცდილობს, კარგია, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ უნდა დააზიანო.

რაც მთავარია, ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია, საპატრულო პოლიციას არც შეუნიშნავს, თანაც ახლომდებარე ყველა კამერა გამორთულია. ჩვენ ჯერ არ მიგვიმართავს საპატრულო პოლიციისა და მერიისთვის. იმედი მქონდა, რომ აღნიშნულ ფაქტს ჟურნალისტები შეამჩნევდნენ და დაწერდნენ, რადგან ჟურნალისტების მიერ გაშუქებულ ინფორმაციას მეტი და დროული რეაგირება მოჰყვება ხოლმე.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრზე ვანდალური ფაქტი განხორციელდა. შარშან ბოროტმოქმედებმა თეატრის აფიშის დაფა ჩაამსხვრიეს და კედლებზე სხვადასხვა სიმბოლო გამოსახეს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# რა მდგომარეობაშია მეტეხის ტაძარი?



რა მდგომარეობაშია თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი? ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მეტეხის ეკლესიაზე ქვის კონსერვაციის სამუშაოები უკვე ორი წელია მიმდინარეობს. გასულ წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აღმოსავლეთ ფასადის ქვების გამაგრების მიზნით პროექტი გაგრძელდა და სექტემბრისთვის სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი, მთელ პერიმეტრზე, ბენზალკოლიუმის ხსნარით ბიოლოგიური ნადებების საწინააღმდეგოდ დამუშავდა, შემდგომ კი გაიწმინდა არსებული ნადებისაგან;

ფასადზე მექანიკურად მოიხსნა სხვადასხვა პერიოდის ცემენტის შევსებები;

განშრევებული ქვის სიღრმეები და ბზარები ჰაერის მსუბუქი ჭავლით გაიწმინდა;

განხორციელდა დაბზარული ქვის კონსერვაცია. ქვის ზედაპირზე არსებული ბზარები ეთილ სილიკატის, წვრილი ბზარები კი ნანო სილიკატის საშუალებით გამაგრდა;

შეივსო ნაკერები;

ქვის კონსერვაციის სამუშაოების მესამე ეტაპი წელს გაგრძელდება და ეკლესიას საფრთხე აღარ დაემუქრება.

# სამგლოვიარო განცხადებები

**გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი**

## გრიგოლ (გრიშა) ჯანიოთელი



ქართულმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ჰუმანიტარულ-ტექნოლოგიური აკადემიის პრეზიდენტი და მის მიერვე დაარსებული ჰუმანიტარულ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი გრიგოლ ევტიხის ძე ჯანხოთელი. მისი სახით სტუდენტმა ახალგაზრდობამ დაკარგა საუკეთესო აღმზრდელი, კოლეგებმა ბრწყინვალე მეგობარი, ხოლო ქართულმა მეცნიერებამ კი ერთ-ერთი ეროვნული საპასუხისმგებლო დარგის – მეღვინეობის საუკეთესო სპეციალისტი.

გრიგოლ ჯანხოთელი ფართო სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. იგი იკვლევდა ქართული ეროვნული კულტურის – ვაზისა და მეღვინეობის მნიშვნელოვან საკითხებს, შეიძლება ითქვას, მისი ნაშრომები ბოლო 45 წლის განმავლობაში ერთგვარი ნოვაცია იყო სოფლის მეურნეობაში, რადგან ამ მეტად საჭირო სფეროში თითქმის არაფერი იწერებოდა. ბატონმა გრიგოლმა მეღვინეობას მიუძღვნა რამდენიმე მონოგრაფია, მისი 50-მდე გამოქვეყნებული ნაშრომიდან უმეტესობა ამ თემას ეძღვნება და ისინი წარმოდგენილია წიგნების სახით, როგორიცაა: „მეღვინეობა“, „მეღვინეობა ციფრებით და ფორმულებით“, „ყურძნის გამოყენების ზოგადი საკითხები“, „ღვინის ზოგადი და სპეციალური ტექნოლოგიები“, „კონიაკის ტექნოლოგია“, „ყურძნის უალკოჰოლო პროდუქტებისა და მეღვინეობის მეორადი ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია“, „ღვინის მრეწველობის ადგილი საქართველოს ეკონომიკაში“. აღნიშნული წიგნები დღეს, შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ სამაგიდო სახელმძღვანელოებს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

ბატონი გრიგოლი მრავალმხრივ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. მას გამოკვლეული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი ეკონომიკასა და სამართალმცოდნეობაში, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურა – ესენია: „საქართველოს კვების მრეწველობის ეკონომიკა“, „გზა სიღატაკიდან სიმდიდრისაკენ“, „საქართველოს ეკონომიკა“, „საერთაშორისო კერძო სამართალი“.

სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის გარდა, მიუხედავად დიდი ტრაგედიის გადატანისა (გარდაცვლილი ჰყავს ორი ვაჟიშვილი), გრიგოლ ჯანხოთელი ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი რედაქტორობით წლების განმავლობაში გამოდიოდა საინსტიტუტო ყოველთვიური გაზეთი „ლილე“, სადაც იბეჭდებოდა როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა სამეცნიერო სტატიები და პუბლიკაციები.

ბატონ გრიგოლს გარკვეული წვლილი მიუძღვის ქრისტიანული კულტურისა და ქართული ეკლესიის წინაშე. კერძოდ, მან სვანეთში, თავის მშობლიურ სოფელ ჩიხარეშში (ლენტეხის რაიონი), დიდი რუდუნებითა და ძალისხმევით ააშენა მაცხოვრის სახელობის ეკლესია, რითაც ერთგვარად უკვდავყო თავისი სახელი და უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გრიგოლ ჯანხოთელის მამულიშვილურ ამაგს ემატება მისი რამდენიმე თაობად დატოტვილი ტრადიციული ქართული ოჯახი.

აკადემიისა და ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები ღრმა გულისტკივილს გამოვთქვამთ ღვაწლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის გრიგოლ ჯანხოთელის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.

**პეტრე დუნდუა, ვახტანგ ონიანი, ჯუმბერ ცერცვაძე, ვახტანგ ინაური, ირაკლი დვალი, იაშა ლეჟავა, როლანდ სხვიტარიძე, ლელი ჭანტურია, ნინო კირვალიძე, ლილი წულაძე, ირინე ღლონტი, ციური მჭედლიშვილი, ნონა კუპრეიშვილი, ცისანა შილაკაძე, ალინა ცხომარია, ნანა ჭიკაძე, თინა ონიანი, ნანა ბროძელი, ბელა კვანტალიანი, ხათუნა შტააძე, ნორა გუჯეჯიანი, თალიკო ჯალაღონია, ნანა სიფრაშვილი, მაია კობიძე, სვეტა თოლორდავა, ირინა სანიკიძე, თამილა ნიჟარაძე, მარიკა ლეჟავა და სხვები**



კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის გამგეობა და რწმუნებულთა საბჭოები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გულანთებული ქართველი მამულიშვილის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, საქართველოს გვარიშვილთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ღვაწლმოსილი წარმომადგენლის, ისტორიის დოქტორის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის წევრის, კვარაცხელიათა საგვარეულო კავშირის დამფუძნებლისა და თავკაცის, გამგეობის თავმჯდომარის, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიცისტური სტატიის, საგვარეულო წიგნის „კვარაცხელია გვარი და გვარიშვილობის“ ავტორის

**გრამიტონ რაჟდენის ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

დაკრძალვა: 21 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: თბილისი, სოფელი დიღომი (ცენტრი), დავით სარაჯიშვილის II ჩიხი, 8.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 20 იანვარი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "XX საუკუნე" **14.30** ან./ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ყველაზე გემრიელი კერძები მსოფლიოში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" აცემა **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "ეპოქის ფრაგმენტი" **22.05** დ/ფ "თოფგიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ჰალკი**" (ნ.ნოლტი)

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 5 სერ. **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**მტერი კარიბჭესთან**" (ჯ.ფაინსი) **03.00** ერთხელ საქართველოში **04.05** მხ/ფ "**საბედისწერო ნიშნები**" (ჩ.კენტერბერი) (ტიტ.)

**06.00, 19.55** სერ. "**აღთქმა**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.40** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **22.00** ქ. მხ/ფ."**ტბა**" **23.30** სერ. "**სიცრუის თეორია**" ს3 (სეზ.3) **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**08.30, 19.00** საინფორმაციო. გამოშვება. მსოფლიო. ამბები. (გამეორება) **09.00** ან/სერ. ავატარი. ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი **10.00, 19.30** სერ. "**ჯონათან. სტრეინჯი. და. მისტერ. ნორელი**" **11.00** ჯიდიპედია **11.30** შუადღე **14.00, 18.00** სერ. "**ახალი გოგო**". **14.30, 18.30** სერ.. "**ცენტრი**" **15.00** ან/სერ. ავატარი. ლეგენდა აანგის შესახებ **16.00** Discovery ამერიკა. ფაქტები და გამონაგონი **17.00** აირჩიე. კაბა **17.30** საქორწილო გარდასახვა **20.30 20.30 22.00** მზარეულები **22.30** ქერჩი. დაკარგული გმირები **23.00** მხ/ფ **00.45, 02.30** URBAN STORIES. **01.35, 03.20** ჯიდიპედია **04.30** შუადღე. (გამეორება) **07.00 20.30.** (გამეორება)

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "დავით მერკვილაძე–13 ასურელი მამა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ "კობა წაქაძე" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** ჩვენი ფონდი **16.00** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იონა წინასწარმეტყველი I ნაწ. **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "შალვა ნუცუბიძე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუჩეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ეკატერინა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.428


ევრო — 2.6448


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4686


100 რუსული რუბლი — 3.0821

## ამინდის პროგნოზი 20 იანვრისთვის






## კალეიდოსკოპი

# ერთგულების ქამარში გაჭედილი ქალი მეხანძრეებმა გაათავისუფლეს



იტალიის ქალაქ პადუას მეხანძრეებს დახმარების თხოვნით მიმართა ქალმა, რომელმაც საკუთარი ერთგულების ქამრის გასაღები დაკარგა, რათა მათ მისი სხეულის ქვედა ნაწილი გაეთავისუფლებინათ. მაშველები ბინაში გამოძახებაზე ისე მივიდნენ, რომ არ იცოდნენ, კონკრეტულად რა სამუშაოს შესრულება მოუწევდათ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამოძახების ადგილზე მისულ მეხანძრეებს საშუალო ასაკის იტალიელი ქალბატონი დახვდა, რომელმაც კაბა აიწია და მაშველებს რკინისსაკეტიანი ერთგულების ქამარი დაანახა. ქალმა საკეტის გასაღებს ვერ მიაგნო და ამიტომ გადაწყვიტა, დახმარება პროფესიონალებისთვის ეთხოვა.

ქალმა მეხანძრეებს განუმარტა, რომ ეს აქსესუარი მას იმისთვის სჭირდებოდა, რომ თავიდან აეცილებინა ინტიმური ურთიერთობა (კონკრეტულად ვისთან, ქალს არ დაუზუსტებია).

მეხანძრეებმა ქალი გაათავისუფლეს და დარწმუნდნენ, რომ მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა. ის არ ყოფილა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და არც სექსუალურ თამაშში ყოფილა ჩართული.

ერთგულების ქამარი არის მოწყობილობა, რომლის ჩაცმის შემდეგ ქალის ან მამაკაცისთვის ტექნიკურად შეუძლებელია სქესობრივი აქტის განხორციელება. ის პირველად 1405 წელს შექმნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# 20 იანვრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად „მგლის ბილიკი“

## ქართული დეტექტივი. ტომი 1




# ფაჩულიას მორიგი გამორჩეული შედეგი



იმ დღეს, როდესაც ნბა-ს ოლ სტარის გამოკითხვა დასრულდა, ზაზა ფაჩულიამ კიდევ ერთი გამორჩეული შედეგი დადო. მართალია, დალას მავერიკსის ქართველ ცენტრს ამჯერად ორმაგი დუბლი არ მიუთვლია, თუმცა ბოსტონთან მატჩში 19 მოხსნა მოაგროვა, რაც ნებისმიერი მეფარისთვის ბრწყინვალე შედეგია.

დალასები მასპინძლები იყვნენ და შეხვედრა დაძაბულ, ოვერტაიმიან ბრძოლაში მოიგო – 118:113. ფაჩულიამ 36 წუთი ითამაშა და 5 ქულა, 19 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ზაზამ 4-დან 1 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. ზაზა სამიანებს არ ესვრის და ამჯერად საკუთარი მოედნიდან ტყორცნა მოუხდა, რადგან დრო იწურებოდა. ქართველ ცენტრს რომ ჩაეგდო, ოვერტაიმი აღარ დაინიშნებოდა, მაგრამ...

ფაჩულიას გუნდი დასავლეთ კონფერენციაში მეხუთე ადგილს მემფისთან იყოფს. ორივე გუნდს 24 მოგება და 19 მარცხი აქვს.

შემდეგ მატჩს დალასელები ისევ შინ 21 იანვრის გარიჟრაჟზე მინესოტასთან გამართავენ.

# პრინც ჰარის ახალი შეყვარებული ჰყავს





ბრიტანელმა პრინცმა ჰარიმ ახალი შეყვარებული იპოვა. ამ ინფორმაციას ავსტრალიური მასმედია ავრცელებს. პრესის მტკიცებით, ჩარლზისა და დიანას უმცროსი ვაჟიშვილის ახალი რჩეული საბერძნეთისა და დანიის პრინცესა მარია-ოლიმპიაა.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, ჰარი ყურებამდეა შეყვარებული და „აბსოლუტურად მოხიბლულია“.

– მათ პაემნების სერია ჰქონდათ, ისინი აღდგომის დღესასწაულის წინ შვეიცარიის მთებში თხილამურებით სასრიალოდ გამგზავრებას გეგმავენ, – განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ. ასევე ამტკიცებენ, რომ კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია მიიჩნევენ, რომ მარია-ოლიმპია ჰარის „საუკეთესო რჩეულია“.

კენსინგტონის სასახლემ მოცემული ინფორმაციის კომენტირებაზე უარი განაცხადა.

მარია-ოლიმპიას მშობლები არიან ბერძენი პრინცი პავლოსი და მისი მეუღლე მარი-შანტალი. პრინცესა ნიუ-იორკში დაიბადა და ლონდონში გაიზარდა. ის ოჯახის ხუთი შვილიდან ყველაზე უფროსი და ამავე დროს ერთადერთი ქალიშვილია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 2. უბანი ქუთაისში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ნიშა კედელში, სადაც საწოლია გამართული; 6. სპორტის სათამაშო სახეობა; 9. უწყინარი ხასიათის მსუბუქი დაცინვა; 13. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 14. ისტორიული მოედანი პარიზში; 15. გურულების, აჭარლების ძველებური მოკლე ჩოხა; 17. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 18. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 20. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი.

**თარაზულად:** 1. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 5. სიმებიანი მუსიკალური საკრავების კორპუსის ნაწილი; 7. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 8. ავადმყოფობის სიმპტომების დროებითი შესუსტება; 10. ძვირფასი სარეწაო თევზი; 11. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 12. ამერიკული სიგარეტი; 16. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 17. კუთხე საქართველოში; 19. ძვირფასი ლითონი; 21. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 22. შინაური ცხოველის კისერზე შებმული ჟღარუნა; 23. ფირმის, ორგანიზაციის ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა; 24. გაერთიანებული ერების საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**45 ლარი 95-ის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



მაღაზია **Stop&Shop**
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

**KENWOOD ხორცსაკეპი**
**120 ლარად 250 ლარის ნაცვლად**




**ტექნიკური მახასიათებლები და ფუნქციები:**
ძრავის სიმძლავრე: 2400
მოდელი: KMG 2028;
მუშაობს 220ვ/50 ჰერცი;
მოყვება უჟანგავი რკინის 1 დანა;
გააჩნია რევერსის ფუნქცია;
ვატი; უჟანგავი ალუმინის კორპუსი
შესაძლებელია უპროცენტო განვადება

**50 ლარად ელექტრონული სიგარეტი**



პრემიუმ კლასის ელექტრონული სიგარეტი, ელეგანტური დიზაინის კორპუსი დამზადებულია უჟანგავი ფოლადისაგან.

ელექტრონული სიგარეტის მოწევა იძლევა 100%-ით ჩვეულებრივი სიგარეტის იმიტაციას. თქვენ ზუსტად იგივე განცდა გექმნებათ როგორც ეს იყო ჩვეულებრივი სიგარეტის მოწევის დროს. ასევე ელექტრონული სიგარეტი არ შეიცავს ისეთ მავნე ნივთიერებებს როგორც ნამდვილი სიგარეტი.


## იუმორი



სახეზე ჭორფლებიან ბავშვს ქუჩაში ქალი მოეფერება და ეუბნება:

– რა საყვარელი ხარ! ეტყობა, მზემ გაკოცა და ეს ყვავილები იმიტომ გაყრია სახეზე...

– რა ვიცი, მამაჩემი კი მეუბნება, ძილში ტარაკანებმა მოისაქმეს შენს სახეზეო და...

•••

ბავშვს ეკითხებიან:

– ექვსი ვაშლი გაქვს და ნახევარს თუ ძმას მისცემ, შენ რამდენი დაგრჩება?

– ხუთ-ნახევარი.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ბუღა როგორ იგებს, ძროხა რომ ატეხილია?

– ყნოსვით.

– მერე, შენ სურდო გაქვს?

•••

პროზექტურაში შესული მამაკაცი ხედავს, რომ სამივე მიცვალებული გაღიმებული სახით წევს და თანამშრომელს ეკითხება:

– რატომ არიან გაღიმებულები?

– ამან კაზინოში ჯერ მთელი თანხა წააგო, შემდეგ ერთ „ფიშკა“ იპოვა და იმით მილიონი დოლარი მოიგო, ჰოდა, მოულოდნელ ბედნიერებას გულმა ვერ გაუძლო და მოკვდა.

– მეორე?

– მეორე 20 წელი ცოლს ეხვეწებოდა, პოზა შეეცვალა, ხოლო როდესაც დაითანხმა და პოზა შეიცვალა, ექსტაზში შესული გარდაიცვალა.

– და მესამე?

– მესამეს მეხი დაეცა.

– კი მაგრამ, რატომ იღიმებოდა?

– ეგონა, სურათს უღებდნენ.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– კვირას ეკლესიაში მივდივარ, მამაოს აღსარებას ვეტყვი.

– ვალიდოლი გაიყოლე.

– რატომ?

– შენი აღსარების მოსმენისას მამაო ცუდად რომ გახდეს?!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, მართალია, რომ ჩემი თავი ღმერთმა გამოგიგზავნა?

– მართალია, მაგრამ ვერ ვხვდები, რა ცოდვებისთვის...

•••

დედა სახლში გვიან დაბრუნებულ ქალიშვილს ეკითხება:

– სად იყავი? მე და მამაშენმა შენს ძებნაში ყველა საავადმყოფოში, პოლიციის განყოფილებასა და პროზექტურაში დავრეკეთ!

– ჩემს ტელეფონზე დარეკვა ვინმემ აგიკრძალათ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**